

5) հազնեց

Երևան -

7.00

Անօսման

1. Առ դուշտա -
- 2 Յա լուսագոյնից
3. Խջողենու անձնական պահպան
4. Ինչեւու 1-5000
5. Յըլես Եվոսն Եղիսաբէթին
6. Յասիկայան Զահարի Տիգրան
7. Գւշտա - ՏԱ. Անդրեաս Շահմանին
8. Հանգու Կիբրետու աղջու
9. Կահաճալու ըստ Կիշունաս
10. Մայուսիստ Սկուլու յուղան

7.00

Übz p 163

6-361300

zum Abdruck



ଶର୍ମିଳା

3. რცხილაბე

საზოგადოებრივი ცხოვრების

შარშულიდამ

უკანონოს ძირითადი კანონები

ფასი 25 კაპ

თვილისი

სტამბა გრ. ჩარკვიანისა, მიხეილის პრ. № 40

1906

ამ გამოცემის წინდა უქმნასავალი დანიშნულია თბილის
სახალხო უნივერსიტეტის სასაჩვენებლო.

საზოგადოებრივი კხოვრების წარსულიდამ

ვისაც თვალ-ყური უდევნებია, მან კარგად იცის, რომ ცხენი, ძროხა, ცხვარი შემთხვევით ჩამორჩენილნი თავიანთ ჯოგს, ფარას, ჭიხვინითა და ბლავილით დაეძებენ თავ-თავიანთ ნახირს და მოიქანცებიან ხოლმე სირბილით, სანამ თავისას აისრულებენ — იპოვნიან მიმალულ ნახირს.

წერო, მოსხლეტილი თავის გუნდს, ამ უკანასკნელის ძებნაში ბევრი რბენისაგან არაქათ გამოლეული, არა ერთხელ ჩამოვარდნილა დაბლა უალაგო ალაგას და ჩავარდნია მტერს ხელში.

ჩვეულნი თავის ჯოგს, ფარას, გუნდს ოთხფეხიც და ფრინველიც შიშობენ მარტოობას და ცდილობენ შეუერთდნენ თავიანთ გვარ-ტომებს.

შიშისგან გამოწვეული ეს ერთი-ერთმანეთისადმი მიკედლება მეტად ძრიელია ზოგიერთ შემთხვევაში.

„ჭექა-ჭუხილის დროს, ცხვრები ეკვრებიან ერთმანეთს და ვერას გზით ვერ დასძრავ აღგილიდამ“ — ამ-ბობს პირუტყვთა ცხოვრების დიდი მცოდნე ა. ე. ბრემი და სხვათა შორის მოგვითხრობს ერთ დიდი ხნით ნამყოფ და გამოცდილ მეცხვარის ნამბობიდგან შემდეგს:

„ჩვენ გვყვანდა ფარაში“—ამბობს მეცხვარე--, 2000 ცხვარი და 150 თხა. დადგა მარტი და ცხვარი გავი- ყვანეთ მინდორში მწვანე ბალახზე. ერთ დღეს, მარტი- სავე პირველ რიცხვებში, უეცრად აცივდა, წამოვიდა წვიმა, მერე თოვლი და მოჰყვა ზედ საშინელი ქარი- შხალი, რომელმაც დაირეკა ჩვენი ფარა. ქარი უბერავ- და იმ მხრიდამ, საითაც ფარეხები გვქონდა. ფარეხში შესარეკად ცხვარი ქარისაკენ უნდა მიგვებრუნებინა, მაგრამ ვერას გზით ეს ვერ მოვახერხეთ. შეშინებულმა ცხვარმა წინ-სვლას უფრო უმატა და, რაკი ვერც უკან დაბრუნება და ვეღარც დაყენება ვერ შევძელით, ძალა უნებურად მივდევდით ფარას, საითაც ქარი მიე- რეკებოდა. დალამდა ის დღე, გავიდა ლამე, არ ჩადგა ქარი, ვერც ჩვენ შევდექით. მოვიქანცენით. ერთი დღე-ლამეც რომ ასე გვევლო, მივაღწევდით ზღვის პირს ოც საჟენიანს სიმაღლით და მთელი ფარა გადაიჩეხებო- და და დაიღუპებოდა. ბევრ სოფლებს გაუარეთ გვერ- დი, მაგრამ ვერავინ ვერ გაიგო ჩვენი გაჭირვება. დად- გა მეორე ლამე, დაუახლოვდით ერთ ნემენცების სო- ფელს, ავტეხეთ თოფის სროლა, სოფლის ძალლებმა შექნეს ყავ-ყავი, გამოიქცნენ ჩვენკენ 15 კაცი ნემე- ნცი, გაიგეს ჩვენგან, რაშია საქმე, მოგვეშველნენ და როგორც იყო ცხვარი სოფლისკენ მივაბრუნეთ და შე- ვედით სოფელში. სახლებს ამოფარებული და თანაც თივის დანახვით, ცხვარი დამშვიდდა, ხოლო ძალიან და- ზარალდა: ყველა თხები და 500 ცხვარი გზაში ჩამო- გვრჩა და დაიღუპა, იმ ლამეს კიდევ, თუმცა ფარა გარედ იდგა და ალაგიც ბევრი იყო, მაგრამ ცხვარი ისე შეეტშუცა ერთმანეთს, რომ ბევრი დაიხლცა—დაჭული-

ტბის ერთმანეთი.“

„მარტო იმ მიზეზით, რომ ორი მედებარი ძალლი შევარდა ერთხელ ერთ ფარეხში“, ამბობს ლენცი— „ცხვრები ისე დაშინდნენ და მიეტკუცნენ ერთმანეთს, რომ შეტი წილა შათგანი დაისცუა, დაჭულიტეს ერთმანეთი“. (ა. ე. ბრემი, ტ. III, გვ. 257—258).

ცხოველები გარდა შიშისა, რომელიც შეკრებს მათ ჯოგებად, ფარებად, გუნდებად, შეერთებული ანუ საზოგადოებრივი ცხოვრების უპირატესობასაც გრძნობენ განმარტოებულ ცხოვრებასთან შედარებით.

„ზამთარ-ზაფხულს, როდესაც მოატანს დრო ფრინველების გადაფრენისა“—ამბობს ბრემი (ტ. IV, გვ. 26) — „ერთი გვარტომის ფრინველნი ერთად გროვდებიან და, ვიდრე გაუდგებიან შორ გზას, რამდენიმე ღლე უცდიან ამავე გზით მომავალ თავის გვარტომის ფრინველებს, და, უკეთუ ამ უკანასკნელთ ვერ შეამჩნიეს პირველნი და შესაძლოა ასცდნენ, ეძახიან თავისაკენ შესაერთებლად. როცა ამგვარად რიცხვი ფრინველებისა გუნდშა საკმარისი გახდება, გუნდი მიფრინავს ერთად. ზოგიერთი ფრინველები შინჯვენ ყველა თავის ამხანაგებს გუნდში, რათა დარწმუნდნენ, შესძლებენ გუნდთან ფრენას, თუ არა“. .

მიუხედავათ იმისა, რომ ცხოველები ნახირში იჩენენ ურთიერთ შორის სიძულვილს, გაიძვერაობას, ბრაზიანობას, ჩხუბსა და ძალმომრეობას, ნახირი ტყე-მინდორში მაინც არ იქსაქსება, რადგან ცხოველებს ერთმანეთისადმი აქვთ სიყვარული, გულკეთილობა, მოთმინება, იციან მიქომაგობა, შერიგება და სხვა..

რაც უფრო სუსტია ინდივიდი თვითეული ტომი-

სა, იმდენად მეტია რაოდენობა ინდივიდებისა ამ ტომის თვითეულ ჯოგში, ფარაში, გუნდში ანუ თვითეულ საზოგადოებრივ ჯგუფში.

თუმცა არც ნახირია სრულიად თავისუფალი: სირაჭლემები, მაგალითად, ვერ ჩავლენ ხმელეთიდამ ზღვაში საცხოვრებლად, სპილონი, თბილ ჰავას ჩვეულნი, ვერ წავლენ ყინულეთის ოკეანესაკენ, მაგრამ მაინცა და მაინც ნახირი უფრო დამოუკიდებელია, ვიდრე ნახირის თვითეული ინდივიდი, რადგან ეს უკანასკნელი ოვით ნახირშიაც არის უფლება-შეზღუდული, რამოდენაზაც შეზღუდვა იგი საჭიროა, რომ ნახირი არ დაიქაჭილოს.

როდესაც, მაგალითად, წყალს ვიწრო მისავალი აქვს და მთელი ნახირი ერთად ვერ მიუდგება დასალევად, ცხოველები ძალაუნებურად იცდიან: ჯერ ერთი სვამის, მერე მეორე, თუმცა შესაძლოა ყველას ერთნაირად სწყუროდეთ და ეჩქარებოდეთ დალევა.

ერთი და ორი წევრი ნახირისა, რომ მოინდომონ კიდევაც, ვერ გაინაწილებენ მთელ საჭმელს, თუ საჭმელი ცოტაა, რადგან სხვებიც მიესევიან.

ნახირი თავისუფალია გაემგზავროს შორს წყლის დასალევად, როცა უნდა, ან დასტოვოს ახლომახლო ადგილები და შორს გადავიდეს საჭმლის მოსაძებნად; ხოლო თვითეული წევრი კი ვერ მოშორდება ნახირს და ვერ წავა შორს ვერც წყლის დასალევად და ვერც საჭმლის მოსაძებნად.

როდესაც ნახირის ერთი წევრი შევიწროებას ისურვებს მეორისას, უკანასკნელი პირველს წინააღმდეგობას უწევს საკუთარის ძალით.

დღეს გამარჯვებული ინდივიდი ნახირში, ხვალ რომ რამე მიზეზით დაუძლურდეს, დამარცხდება მოპირდაპირესთან ბრძოლაში. დამამკვიდრებელი ერთხელ მოპოებული გამარჯვებისა, გეგემონიის ჩამომგდები პირუტყვთა შორის არა არის რა. ძლევამოსილობს დღეს ის, რომელსაც მეტი ფიზიკური და გონებრივი ძალა შესწევს. დღევანდელი გამარჯვება შედეგია მხოლოდ დღეს არსებული რეალურ ძალთა მიმართებისა და, როგორადაც ფაქტი, ხვალ არავითარ ძალას არ შეჰმატებს გამარჯვებულს თავის მოპირდაპირე ინდივიდთან ხელახლად ბრძოლაში.

პირუტყვი კმაყოფილდება მოქიშეს დღეის დაჩაგვრით, ძალმომრეობს სადღეისო გამარჯვებისთვის და არა გეგემონიის მოსაპოებლად სამერმისოდ. მართალია, დაჩაგრულს დამჩაგვრელისადმი ებადება შიში, მაგრამ ამ შიშაც შემდეგში ივიწყებს და სამუდამოდ ისპობა ყოველი შედეგი და მნიშვნელობა, რაც ჰქონდა წარსულ გამარჯვებას, როგორადაც ფაქტს.

*
* *

ადამიანი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ზედ-მეტ პასუხის გებაში ვარდება საზოგადოებისაგან მიღებულ ზნეჩვეულებების და კანონების წყალობით.

ინდივიდი ნახირში უფრო დამოუკიდებელია, ვიდრე ადამიანი საზოგადოებაში.

ადამიანთა ცხოვრებამაც განვლო ხანა საზოგადოებრივი ცხოვრებისა, როდესაც ოვით ეული ადამიანი მხოლოდ იმდენად იყო დამოკიდებული თვისტორია საზოგადოებრივ ჯგუფში, რამდენადაც დღეს პირუტყვია დამო-

კიდებული თავის გვარტომთა ნახირში.

აღამიანსაც ქონდა საზოგადოებრივი ცხოვრება დამყარებული მხოლოდ ცხოველურ ინსტინკტზე. ხოლო შემდეგ, როდესაც აღამიანს განუვითარდა მეტყველება და ნიჭი ცხოვრებისა, მის ინსტინკტიურ შეგნებას ზედ წაემატა განყენებული აზროვნება, რომელმაც აღამიანს უფრო ღრმად შეაგნებინა საზოგადოებრივი ცხოვრების უპირატესობა მეტი კეთილ-დღეობის მოსაპოებლად და სხვათა ცხოველთა შორის გეგემონიის ხელთ-საგდებად.

აღამიანის განყენებულმა აზროვნებამ, გავარჯი-შებულმა მეტყველებამ და განვითარებულმა მესხიერებამ ცოდნა, წინად შეძენილი დაკვირვებით, საძირკვლად გაუხადა მერე შეძენილ მასალის შემუშავებას და შეიქმნა ცოდნის ცოდნაზე დაკოტიწება, გაიჭიმა კულტურის საბელი, წარმოსდგა დაუსრულებელი პროგრესი.

ხალხთა განვითარების ისტორია რომ წარმოვი-დგინოთ როგორადაც შესისხლ-ხორცებული მოძრავი არსება და ამ არსებისათვის აგვეყოლებინა თოკი, თავი-დამ აქამომდე გამოვლილი გზის გასაგებად, ერთი თავი ამ თოკისა დღეს იდებოდა გონება მიუწდომელ წარ-სულში და მეორე ევროპიულ აწინდელ კულტურაში. სხვა-და-სხვა ხანა ისტორიული განვითარებისა გამოიხა-ტებოდა თოკის ნასკვებით. თოკი იქნებოდა მიხვეულ-მოხვეული, ხოლო ხვეული არსად არ იქნებოდა უკან დაბრუნებული, რადგან ყოველი შემდეგი ხანა განვი-თარებისა უფრო შორსა დევს სათავედგან.

განყენებული აზროვნება და, როგორადაც შედე-გი ამ აზროვნებისა, განყენებული შემეცნება, აი დასა-

შეისი და თვით ის გზაც, რომელმაც არსებითად და-
შორა აღამიანი პირუტყვთა ცხოველებს და დააწინაუ-
რა იგი.

„კაცობრიობამ თავდაპირველად მარტივი ცხოვე-
ლური ბუნება თვისი აიმაღლა და გარდაქმნა აღამიანის
ბუნებად“, ამბობს ვლ. სოლოვიოვი — „არა იმდენად
ფიქრ-ჭარმოდგენით (всебражение), რაიც არ შეიძ-
ლება უარვყოთ ცხოველებშიაც, რამოდენადაც გონიე-
რების (разумъ), ანუ განყენებული აზრის (отвлече-
нная мысль) მოქმედებით, რომელიც ჰქმნის სიტყვას და
შემეცნებას, და რომლითაც გამოიხატება (ჰკუის მხრივ)
არსებითი განსხვავება აღამიანისა პირუტყვისაგან“.

როგორ დაიწყო აღამიანის ტვინმა ცხოველუ-
რი ინსტინკტის და ბუნების მოვლენათაგან გამოწვეული
შთაბეჭდილებების ზედგავლენით განყენებული აზროვ-
ნება და პირუტყვთა ტვინთან შედარებით როგორ შეი-
ქმნა იგი თვისებებით ესოდენ განსხვავებული, ეს ისე-
თივე საიდუმლოა დღეს ჩვენთვის, როგორადაც მცენა-
რის ქლოროფილში მზის სხივის სითბო-სინათლის ზედ-
გავლენით დედამიწიდგან მიღებული წვენისაგან და
ჰაერის ნახშირ-მჟავიდგან შეთვისებული ნახშირ-ბაღისა-
გან სახამებლის მომზადებაა, ანუ არაორგანიული მასა-
ლიდგან ორგანიული ნივთიერების შექმნაა საიდუმლო.
ხოლო ეს კი აშკარაა, რომ აღამიანის ამ განყენებული
აზროვნებით ჩაიბა ისტორიული განვითარების ის ნასკ-
ვი, რომლითაც თავდება ხანა მარტოოდენ ცხოველურ
ინსტინკტზე დამყარებულ საზოგადოებრივ ცხოვრე-
ბისა და იწყება კაცობრიობის განყენებული აზრით
შეგნებული საზოგადოებრივი ცხოვრება.

განყენებულმა აზროვნებამ, მარტოოდენ ცხოველური ინსტინკტით მომქმედი მარტივი არსებისაგან— ცხოველი-ადამიანისაგან შვა გონიერებით შეგნებული ბუნება-რთული არსება—კაცი-ადამიანი. გონიერებამ გააცნო ადამიანი თავის თავს, განუსაზღვრა მას თავისი სულიერი და ხორციელი მოთხოვნილებანი და აღუძრა მისწრაფებანი, რომელთა განსახორციელებლად ადამიანმა, როგორადაც უფრო სუსტმა არსებამ სხვა ცხოველთა შორის, უფრო მჭიდროდ ჩააბა თავისი თავი თავის გვარტომებთან შეერთებულ ცხოვრებაში, რათა განსაზოგადოებრიული კაცთა ერთეული ძლევამოსილი გამხდარიყო ბუნებაში.

„განმარტოებული ადამიანი“, ამბობს ვ. ვილსონი— „საკმარისად ვერაა შეიარაღებული სხვა ცხოველთა დასამორჩილებლად; მისი გაბატონება ბუნებაში დამყარებულია გონიერებაზე, მის ძლიერება—თვის გვარტომებთან შეერთებაზე“.

ცალკე ოჯახიდამ დაწყობილი ერთობა, ნათესავ და არა ნათესავ ოჯახებთან მიკედლებით გარდაიქცა ცალკე საზოგადოებათა ცხოვრებად, მას მოჰყვა ერთი მიწა-წყლის შვილთა განსაზოგადოებრივება, წარმოსდგნენ ერები და ერებთა ნათესაობანი.

პირველ დაწყებითი ოჯახის უფროსმა ლონით და გამოცდილებით მოპოებული ავტორიტეტის შემწეობით შეათვისა თავის ტევანის წევრებს მორჩილება; დამყარდა ზნე-ჩვეულება, ნათესაობა, ადათი და სარწმუნოება; განისაზღვრა უფლება, კანონი; შესდგა წესიერება და კანონმდებლობა.

რაც უფრო მჭიდროდ იბოჭებოდა საზოგადოებ-

რივი ერთეული, იმდენად მეტად ეკვეცებოდა თვითეულ წევრს საზოგადოებისას ის ბუნებრივი თავისუფლება, რომელიც ქონდა მას, როდესაც ერთობა მხოლოდ ცხოველურ ინსტინკტზე იყო დამყარებული.

აღათზე აშენებული ზენ-ჩვეულება და სარწმუნოება და ყველა აქედამ გამომდინარი უფლებანი და წესიერებანი კანონებად და კანონმდებლობად გამოსახულნი გარდაიქცნენ იმ საშუალებად, რომლითაც ძლიერდებოდა კაცთა საზოგადოებრივი ერთეული, და ილახებოდა პიროვნება საზოგადოების თვითეული წევრისა. ოჯახმა, ეკლესიამ, ყოველმა ცალკე საზოგადოებამ, ქალაქმა თუ სახელმწიფომ ყმად გაიხადეს თავიანთი თვითეული შემადგენელი წევრი.

გაძლიერდა მისწრაფება ცალკე საზოგადოებების შეერთებისა, წარმოსდგა იდეია ცენტრალიზმოსი, დაარსდა კულტი უფროსთ უფროსისა და მის უფლებების განუსაზღვრელობისა. უფლებების დამრიგებელი გახდა სახელმწიფო, როგორც უფროსთ-უფროსი, რომელმაც საზოგადოების ზოგი წევრთაგანი აღჭურვა მეტის უფლებით და ზოგი კი დაუმორჩილა მათ, წარმოსდგა პოლიტიკა, განისაზღვრა იერარქია წოდებრიობისა და დანაწილდა პოლიტიკური უფლებები ამ წოდებათა შორის. დაირღვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში წევრთა თანასწორობა. შეიკრა კოდექსი წოდებრივი და სხვა ყველაგვარ უფლებებისა. დაბინავდა ოჯახში დესპოტიზმი, საზოგადოებაში — რუტინა.

თავდაპირველად ინსტინკტით გამოწვეული და მერე შეგნებული მისწრაფებით გაძლიერებული კაცთა საზოგადოებრივი ცხოვრება ბოლოს თვით მისწრაფებით

მიზნად გარდაიქცა. საზოგადოება, რომელიც უნდა ყოფილიყო მხოლოდ საშუალება მეტი კეთილდღეობის შეძენისა, როგორც თვითეული ადამიანისათვის, ისე ყველა ადამიანებისათვის ერთად, თვით გარდაიქცა საზრუნველ საგნად, როგორადაც ერთი განუყოფელი ერთეული, და ამ ერთეულის თვითეული წევრის პიროვნება კი სრულიად დაიხშო.

დამორჩილების წინააღმდეგ იბრძვიან მხოლოდ ეხვა-და-სხვა ჯგუფები, წოდებანი, ქალაქები, ერები. ადამიანი კი, როგორც წევრი საზოგადოებისა, როგორც პიროვნება, სდუმს და იტანს მონობას უპროტესტოდ.

„თავდაპირველად კაცის პიროვნებას“ — ამბობს ვ. ვილსონი — „არაფერი მნიშვნელობა არ ქონდა, მას უყურებდნენ მხოლოდ როგორადაც ვისიმე ნათესავს. მამა განაგებდა ოჯახის საქმეებს, როგორადაც უფროსი ნათესავი. საზოგადოება შეადგენდა ერთეულს, ადამიანი — ამ ერთეული ნაწილს. ადამიანი სცხოვრებდა საზოგადოებისათვის და მთელი თავისი სიცოცხლე მის მფარველობის ქვეშ იყო. ინდივიდუალ ითვლებოდა მხოლოდ სახელმწიფო“.

* * *

ამ პრინციპის სავსებით გამომხვატველნი იყვნენ ძველი საუკუნოების სახელმწიფონი და მათ შორის კლასიკური საბერძნებითი და რომი.

ადამიანის პიროვნების დამონავება ოჯახში, საზოგადოებაში, სახელმწიფოში არსებითი მხარეს შეადგენს ძველი საუკუნოებისას.

„ძველი სახელმწიფო“ — ამბობს მ. კოვალევსკი —

აშენებული იყო ურთი-ერთ შორის განსაზღრულ წოდებათა ერთი მეორისაგან დამოკიდებულობაზე, ზოგი ამ წოდებათაგანი, როგორც, მაგალითად, ყმები ნახევრად მშიერნი და სხვ... ყოველ პოლიტიკურ უფლებას იყვნენ მოკლებულნი და მთელი თავიანთი ჩამომავლობით, ერთხელ და სამუდამოდ სხვათა სამსახურს მიჩემებულნი.

„ამ ყმებზე მაღლა მდგომ წოდებებს მინიჭებული ქანდათ მეტ-ნაკლებად მარტო მოქალაქობრივი უფლებები, პოლიტიკური უფლებები კი შეაღვენდა კუთვნილებას სასულიერო და სამხედრო წოდებებისას, რომელთანაც გათანასწორებულნი შეიქმნენ საბერძნეთში და რომში მოქალაქენი ჯერ მარტო დედა-ქალაქისა და შემდეგ ამ უკანასკნელთან შეკავშირებული ლათინელთა და იტალიელთა სხვა ქალაქების მოქალაქენიც.

„მიუხედავათ იმისა, რომ მარტო ეს მაღლი წოდებანი იყვნენ პოლიტიკურ უფლებებში გათანასწორებული, თუმცა მარტო ამათ ხელში იყო სახელმწიფოს მართვა-გამგეობა, თანამედროვე ხალხი თავის-თავს მაინც სრულ-უფლებიანათ სთვლიდა პოლიტიკურ უფლებების მხრივ, მაინც პოლიტიკურ თავისუფლებას იჩემებდა თავის შეხედულებით“.

თუ საბერძნეთისა და რომის პოლიტიკურ ცხოვრებაში, სადაც ხალხი პოლიტიკურ თანასწორობას ჩემულობს, ასეთ უთანასწორობას ვხედავთ, მაშ პოლიტიკის გარეშე, როგორც ამ ქვეყნების, ისე სხვა უფრო ძველ სახელწიფოების ცხოვრებაში რაღას უნდა მოველოდდეთ!

„სასულიერო წოდების წარმომადგენელს, რომ მოე-

სურვა კიდეც“, — ამბობს მ. კოვალევსკი — „არ შეეძლო, მაგალითად, ინდოეთში ხვნა-თესვას ან ძროხის მოშენებას გამოსდგომოდა, ან კერძო რამ სამსახური ეკისრნა, რადგან ამის წინააღმდეგი იყო არა მარტო საზოგადოებაში დამკიდრებული შეხედულება იმაზე, თუ ვის რა ეკადრება, არამედ თვით კანონმდებლობაც.

„თითქმის იგივეს ვხედავთ კლასიკურ სახელ მწიფო-ებშიაც: ათინის მოქალაქე და რომის პატრიცი ვერ აიცდენდნენ თავიდამ პოლიტიკურ საქმეებს სამეურნეო საქმეების მომიზეზებით.

„ათინის ან რომის მოქალაქე ვერ იცოლებდა თავის ყმა დედა-კაცს, რაც უნდა ძალიან მოენდომებინა.

„ინდოეთში და ეგვიპტეში სასულიერო ან სამხედრო წოდების კაცი, როგორც მაღალი წოდების წარმომადგენელი, ვერ შეირთავდა ცოლად ყმას და ვერც სხვა დაბალ, დამოკიდებულ წოდების ქალს.

„ძველი სახელმწიფოს მოქალაქე ზოგიერთ კერძო საკუთრებას ვერ გაყიდდა და ვერც სხვისაგან იყიდდა. იგი ვერ იქონიებდა წოგიერთ წოდების წარმომადგენლებთან ვერც ქონებრივს და ვერც სხვა რაიმე დამოკიდებულებას; ვერ გარდასცემდა, ვერ აჩუქებდა, ვერც უანდერძებდა მათ ვერაფერს“.

„ელინიც და რომაელიც“; ამბობს ვ. ვილსონი, „სრულიად ეკუთვნოდნენ სახელმწიფოს. როცა სახელმწიფოს დასჭირდებოდა მათი სამსახური, მათ ყოველი უფლება თავიანთ საკუთარ სიცოცხლეზე ეკარგებოდათ; ყველა განსაკუთრებით უფლებებს ნაბოძებად სთვლიდნენ სახელმწიფოსაგან, როგორც უფროსისაგან. მართლია, ეს უფლებები დაკანონებული იყო, მაგრამ მათი

შეხედულებით თვით კანონი შეკავშირებული საზოგა-
დოების ნება იყო და არა ამ ნების განსაზღვრა, რო-
გორადაც აწინდელ სახელმწიფოთა სისტემაშია მიღებუ-
ლი“.

„იტალიის ხალხი“, ამბობს ბერლინის უნივერსი-
ტეტის პროფესორი შესანიშნავი ისტორიკოსი და იურის-
ტი თეოდორე მომზენი,— „იმდენად არ იყო მკვიდრ
რომაელებისაგან დამოკიდებული, უფლებით შეზღუ-
ლული, რომელიც ადამის თვითეული მოქალაქე—
რომის რესპუბლიკისაგან. საბერძნეთშიაც და რომშიაც
ადამიანის პიროვნება სრულიად დახშული იყო სახელ-
მწიფოსაგან“.

* * *

დადგა საშუალო საუკუნეები. აივსო ფიალა პიროვნე-
ბის მოთმინებისა. ბოლო უნდა მოჰქმებოდა საზოგადო-
ბის თაყვანისმცემლობას, რომელმაც „ჩვეულება რჯულ-
ებზე უმტკიცესი გახადა“ და ძველი ადათის წინააღმდეგი
საქციელი კაცისა „უწმინდურებათ“ და „შეცოდვებათ“
აღიარა.

მეხუთე საუკუნეში რომაელებს შემოესივნენ გერ-
მანელები, ხალხი არა კულტურული, ბარბაროსები და
დაიმორჩილეს. დაიშალა რომის სახელმწიფო, როგორც
ერთი დიდი ერთეული კაცთა საზოგადოებრივი ცხოვ-
რებისა, სადაც კულტურული განვითარება უმაღლეს
წერტილამდე იყო მიტანილი და სადაც ცენტრალიზმის
დედაბოძათ, უფროსთ-უფროსათ თვით სახელმწიფო ითვ-
ლებოდა. თმა-ბანჯვლიანი, ჭუჭყიან-ტურტლიანი, მაგ-
რამ ტან-მოსული და ღონიერი გერმანელები ტყის ნა-

დირებს წარმოადგენდნენ კულტუროსან რომაელებთან შედარებით.

გერმანელები სცხოვრობდნენ ჯერ ისევ კორომ-კორომად დაყოფილ საზოგადოებებათ, ცალკე სოფლებათ, რომელნიც ერთმანეთთან იყვნენ შეკავშირებულნი, როგორც ერთი და იგივე ერის წარმომადგენელნი, ერთი ენისა და სარწმუნოების მქონენი, ხოლო მათი საზოგადოებრივი ცხოვრება კი არ იყო ერთ სახელმწიფოთ შეერთებული.

მეხუთე საუკუნეში გერმანელები, რომელნიც წინადაც არა ერთხელ დასცემიან რომს, მაგრამ დამარცხებულნი უკან დაბრუნებულან, მოვიდნენ რომის სახელმწიფოში არა როგორც ჯარი, არამედ როგორც ხალხი, დედაბუღრიანათ და ცალკ-ცალკე საზოგადოებებით დაბინავდნენ დაპყრობილ ადგილებზე. ადათებისამებრ გაინაწილეს დაპყრობილი მთელი ის მიწა-წყალი, რომელიც ეხლანდელ დასავლეთ ევროპის ტერიტორიას შეადგენს და რომელიც მაშინ რომის სახელმწიფოში შედიოდა. მიწა მიეცა სოფლის საზოგადოებას; თვითეული ოჯახი ხმარობდა თავის ხვედრ ადგილს, ხოლო ხარკს ყველა ოჯახები აძლევდნენ საზოგადოებას კი არა, არა მედ ერთ რომელსამე პირს, მემამულეს, რომელსაც ან რომლის მშობელსაც თავდაპირველად ქონდა ეს ადგილი მიცემული ჯარის წინამძღვრლისაგან. ჯარის უფროსი იქცა უფროსთ-უფროსათ, რომელსაც ემორჩილებოდნენ და ემსახურებოდნენ ის უფროსები ცალკე რაზმებისა, ან ის დაახლოებული პირნი, რომელთაც მან გაუნაწილა შეძენილი მიწა-წყალი და გახადა მემამულეებათ. უფროსთ-უფროსი მოთავე იყო უფროსი მემა-

მულეებისა, როგორც ცალკე პირებისა, რომელთაც
ყავდათ მორჩილი, თავისზე დამოკიდებული წარმომად-
გნელნი ცალკე საზოგადოებებისა, როგორადაც ამ სა-
ზოგადოებათა უფროსები.

ამგვარად, მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება დაი-
ყო საუფროსოებად და გახდა ერთის უფროსთ-უფროსის
საბრძანებრივი. სახელმწიფო, ვითა შენობა დაბჯენი-
ლი მსხვილსა და წვრილ სვეტებზედ, წარმოადგენდა შე-
კავშირებას მორჩილების ნიაღაგზე დიდი და პატარა მე-
მამულეებისას, ცალკე ინდივიდებისას, რომელთა შორის
უფროსთ-უფროსი, როგორც პირი და როგორც მემამუ-
ლე, იყო სახელმწიფო კი არა, არამედ თვით ხელმწიფე.
შემდეგში ლიუდვიგი XIV-ის ამოძახილმა: „L'état-c'est
moi“—სახელმწიფო მე ვარ—მკაფიოდ გამოხატა ის დე-
დააზრი, რომელიც ქონდა საშუალო საუკუნოების სა-
ხელმწიფოს, როგორც დესპოტიურ მონარქიას. ყველა
ფეოდალს შეეძლო იგივე ეთქვა თავის ფეოდის შესახებ
და მით სინამდვილეს არ უმტკუნებდა.

თუმცა გერმანელებმა ახალ ტერიტორიაზედ საზო-
გადოებრივი ცხოვრების მოსაწესრიგებლად რომისაგან
შემუშავებული სისტემით ისარგებლეს, მაგრამ თავიანთი
საზოგადოებრივი ცხოვრების ძველი დედაბოძი—ინდი-
ვიდუალიზმი კი არ ამოაგდეს. ვესტგოტების Lex Ro-
mania Uisigothorum“ ალარიკის II ბრძანებით შესწო-
რებული და წოდებული „Breviarium Alaricum“ იხმა-
რებოდა საკანონმდებლო კოდექსათ მე-XII საუკუნემდე,
მაგრამ პიროვნული ხასიათი, რომელსაც ხალხი თავის
ჩვეულებების გამო აძლევდა ყოველგვარ უფლებას, დი-
დმა კარლოსმაც კი ვერ მოსპო.

სახელმწიფო ოყო დაყოფილი ნახევრად დამოუკი-
დებელ წვრილ საზოგადოებებათ, რომელთ სათავეში
იდგა სინიორი. ხელმწიფეს ემორჩილებოდნენ სინიორე-
ბი ანუ ფეოდალები, ფეოდალებს მათი ლენნიკები. სი-
ნიორი მორჩილი იყო თავისზე უფროსი ფეოდალისა,
ხოლო მის დაუკითხავად ბრძანებლობდა თავის ხელჭვე-
ით ლენნიკზე. ფეოდალები თავიანთი ზოგადი უფლებე-
ბის დასაცველად ეხმარებოდნენ ერთმანეთს უფროსი ფე-
ოდალის წინააღმდეგ და ამ ბრძოლით უზრუნველჰყოფ-
დნენ თავიანთ ნახევრად დამოუკიდებლობას. უფროსი
სინიორი კეთილგანწყობილობით ერთ რიგ სინიორებ-
თან და მათის დახმარებით სჩაგრავდა ამ კიბის იგივე სა-
ფეხურზე მდგარ დანარჩენ სინიორებს და ამ გზით განა-
ძლიერებდა ცენტრალიზმს; ხოლო როდესაც უფროსი
სინიორი ცუდი პოლიტიკოსი იყო და ყველა ხელჭვე-
ით სინიორებს მიმხრობის მაგივრად თავის წინააღმდეგ შე-
აერთებდა, იმ უფლებასაც კარგავდა მათზე, რომელიც
წინად ქონდა. ამ გზით ძლიერდებოდა დეცენტრალიზა-
ცია.

ხელმწიფეებს, დიდი კარლოსიდამ დაწყობილი, რომლის
სამფლობელოს შეადგენდა ეხლანდელი გერმანიის, შვე-
იცარიის, ვენგრიის, იტალიის (სამხრეთ ნაწილის გარდა),
საფრანგეთის და ბელგიის ტერიტორიები, დიდი ნაპო-
ლეონით გათავებული, ბევრჯელ მოსვლიათ აზრი ყველა
ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გარდაქცევისა რომის
მზავსად და სურვილი გაცეზარებისა, მაგრამ ალჩუ
არავის არ დაუჯდა.

ერთის მხრით გერმანელების ინდივიდუალიზმი, რო-
მელიც იხატებოდა საზოგადოების წევრთა ერთი ერთ-

მანეთისაგან დამოკიდებულებაში, და მეორეს მხრით ქრისტეს მოძღვრება, რომელმაც ყოველი ადამიანი სრულუფლებიანი გახადა თავის თავზე და მის მოქმედებას წინ წაუმდვარა საკუთარი სინდისი ხოლო ღმერთის წინაშე პასუხის მგებლობით, აპრკოლებდნენ ხელმწიფისა-გან ხალხის დამონავებას. ცენტრალიზმს ებრძოდა დე-ცენტრალიზაცია. ამ გვარად ცალკ-ცალკე სახელ-მწიფოებად დაყოფილმა საზოგადოებრიულმა ცხოვრე-ბამ მოაღწია მე XVIII საუკუნემდე. გზა და გზა ჩამორ-ჩნენ მსხვილი და წვრილი ფეოდალები, მათი უფლებე-ბი ჩაუვარდათ ხელში წოდებებს, ქალაქებს, საზოგადო-ებებს, მაგრამ პრინციპი სახელმწიფოს ცალკე ნაწილებად განაწილებისა კი დარჩა შეურყეველი. ყველაზე დიდ ნაწილს საზოგადოებაშა შეადგენდა თითქმის ყველა უფ-ლებებს მოკლებული გლეხობა. პრინციპი ინდივიდუა-ლიზმისა წინ წამოყენებული იყო, მაგრამ რიცხვით უმცირესი ნაწილი საზოგადოებისა სჩაგრავდა პიროვნებას ხალხის უმრავლესობაში. ხელმწიფემ, რომელიც წინად მხოლოდ უფროსი სინიორი იყო, ყველა ფეოდები შეაგ-როვა ერთად და სახელმწიფო თავის საკუთრებად გამოაც-ხადა. იგი გახდა კანონისა და სამართლის მომცემი, უფლებებისა და წესრიგის მბოძებელი.

ქრისტეანეთა ეკლესიის წარმომადგენელთ წინააღ-მდეგ ქრისტის მოძღვრებისა მხარი დაუჭირეს მონარქის აბსოლიუტიზმს; საერთო უფლება მისი გახადეს ღვთისა-გან მოვლენილ განუსაზღვრელ უფლებად. თავიანთი წარმომადგენლობა ღმერთის წინაშე გაუნაწილეს ერის კაცს, დესპოტს, რომელსაც ხასად დაუსვეს თვით ეკლე-სია.

მეთვრამეტე საუკუნოებში იწყება პიროვნების ხელახლად გამოფხიზლება. კულტურის გაფართოებამ, ვაჭრობამ, მრეწველობამ ხელახლად დააფიქრა კაცის გონება მსოფლიო ცხოვრებას. წარმოსდგა ფილოსოფია. უკვე ცნობილი (მეXIV—XVს.) ჰუმანიზმი, დაარსებული პირველად მიღანში პეტრარკისაგან, რომელიც ამასთანავე ითვლება ისტორიული კრიტიკის პირველ შემომღებათ, იტალიიდამ დასავლეთ ევროპაში გადმოვიდა და გაძლიერდა. სწავლის და მეცნიერების მისწრაფების უმთავრეს საგნად ჰუმანისტებმა თვით ადამიანი აღვიარეს. „თუ მეცნიერების მიზანი თვითცნობირებაა“, ამბობდნენ ჰუმანისტები — „მაშ ადამიანი ამ ცნობიერების ანუ შესწავლის უმთავრესი ობიექტი უნდა იყოსო“. ადამიანთა შორის სხვა არავთარი განსხვავება არ უნდა არსებობდეს, გარდა იმ განსხვავებისა, რომელიც ნიჭისა და ზნეობრიობის განვითარებისაგან წარმოსდგებათ. ამგვარად, ადამიანის პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას მისცეს მაც უმთავრესი მნიშვნელობა. წარჩინებულმა ჰუმანისტმა ლიუტერმა აღადგინა ხალხისაგან მივიწყებული დამოუკიდებლობა ადამიანის სინდისისა და პასუხის მგებლობა მხოლოდ ღმერთის წინაშე.

დეკარტის ფორმულით: „ვაზროვნებ — მაშ ვარსებობ“ (Goqito— ergo sum) იწყება გონიერებაზე დამყარებული რაციონალიზმი. მხოლოდ განყენებულ აზროვნებაზე მყარდება ყოველგვარი სწავლა-ცოდნის შეძენა.

რაციონალიზმის შესანიშნავი წარმომაზგენელნი მონტესკიო, „მეფე ვოლტერი“, უან-უანკ რუსსო და სხვები მედგრად იბრძვიან ადამიანისა და ხალხის ბუნებრივ უფლების აღსადგენად. საშუალო საუკუნოებისგნით

ნაანდერძევი სახელმწიფოს წესწყობილობა ამ მეომართაგან ძირიანად შეიქმნა გაბათილებული, მასხარად აგდებული. შათგან გამოთქმული აზრები ხალხის უწმინდაეს რწმენად და მისწრაფებად გარდაიკცა.

პირველად მონტესკიომ დაყო სახელმწიფო უფლებანი სამ ნაწილად: საკანონმდებლო უფლებანი, საგამგებლო უფლებანი (აღმასრულებელ ორგანოთ უფლებანი) და სასამართლო უფლებანი. ესრეთი დაყოფა გახდა შემდეგში ერთი იმ საფუძველთაგანი, რომელზედაც აშენდა აწინდელი უფლებრივი სახელმწიფო. მონტესკიოსაგან გამოთქმული აზრი კანონმდებლობის შემოღების შესახებ: „სხვა და სხვა მოთხოვნიოებამ სხვა და სხვა ჰავაში იძულებულ ქმნა სხვა და სხვა გვარი ცხოვრება, რომელმაც გამოიწვია სხვა და სხვა გვარი კანონებით“, იქმნა შემდეგში მიღებული იმ პრინციპად, რომელზედაც დამყარებულია უფლებრივ სახელმწიფოში საკანონმდებლო ზოგადი უფლებების დეცენტრალიზაცია, განხორციელებული სუვერენიტეტით და ავტონომიით.

ფრანსუა-მარი-არუე ვოლტერმა, რომელმაც სასაცილოდ და სამარცვინოდ აღვიარა საზოგადოებაში გამეფებული ცრუმორწმუნება და უაზრო ზნე-ჩვეულებად მორჩილება, მკითხველმბს ჩაუნერგა გულში, რომ ყოველი ადამიანი, მიუხედევად იმისა, ძლიერია იგი, თუ უძლური იმ საზოგადოებაში, რომელშიაც სცხოვრობს, აქვს რაიმე გავლენა მათზე, ვინც გარს არტყია, თუ არა, სულერთია, მოვალეა თავგამოდებით და სასტიკად შეგბრძოლს ყველა იმას, რაც წინ ეღობება და უშლის განათლებისა და კეთილსინიღისიერების ხალხში გავრცელებას და დამყარებას. გრძნობიერებით სავსე ჟანჟაკ

რუსსო ადამიანის შებრალების გრძნობისაღმი მიმართვით უმტკიცებდა საზოგადოებას, რომ ერთხელ და სამუდა- მოთ მიღებულმა, მოტყუებით, კანონებმა შემთხვევითი ძალმომრეობა ხელუხლებელ უფლებად გარდაქმნეს და გახდნენ ბორკილად ღარიბთათვის, მათი დამონავების საშუალებად მდიდრებისაგან; ჩამოდენიმე ეგოისტთა ინტერესების დასაცველად მთელი კაცობრიობა იძულებულ ჰყვეს დაუსვენებელ და განუწყვეტელ შრომას, მუდმივ მონობას და სიღატაკეს. რადგან ამ კანონებს ყურის გდება უნდოდა, ხალხმა მართველობა გამოიგონა; წარმოსდგა ახალი უთანასწორობა — ძლიერთა და უძლიერთა. იმის მაგიერ, რომ მართველობით თავისუფ- ლება დაცულიყო, მართველებმა თვითნებობა და ძალმომ- რეობა დაიწყეს და საშვილაშვილოდ გარდაქმნეს თავი- ანთი უფლებები.

ნამდვილად კი მართველობა უნდა იყოს მხოლოდ აღმასრულებელი ორგანო იმ კანონების, რომელთ შე- მუშავება და სავალდებულოდ მიღება ხალხის საქმეა და სხვა არავისი.

„დაბადებით თავისუფალი ადამიანი ცხოვრებაში ყველგან შებორკილია“ — ამბობს რუსსო „საჭიროა შეს- დგეს ისეთი ასოციაცია, სადაც ყოველი ადამიანი, სხვებ- თან შეერთებული, მხოლოდ თავისთავს უნდა ემორჩი- ლებოდეს, იყოს თავისუფალი, როგორც უწინ ყოფილა“.

დიდ შეცდომათ სთვლის რუსსო მიწის კერძო სა- კუთრებად გამოცხადებას.

„ვინც პირველად შემოლობა აღგილი და სთქვა: ეს ადგილი ჩემიაო, ქვეყნის მატყუარა იყო, რომელმაც ესოდენ უბედურება მოახვია კაცობრიობას თავზე; ქვეყ-

ნის მხსნელი იქნებოდა ის, ვინც მაშინ დაგლეჯდა ღობის მარგილებს, დაანგრევდა ღობეს და იტყოდა:

„ყველანი დაიღუპებით, თუ ოდესმე დაივიწყებთ, რომ ნაყოფი მიწისა ყველას ეკუთვნის და მიწა კი—არავის“.

ხშირად, რუსსო თავის ნაწერებში გულდასმით სარევოლიუციოდ იწვევდა ხალხს. მის დროს საფრანგეთში ხალხი, სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, უფრო მეტ უკმაყოფილებას აცხადებდა საზოგადოების წევრთა უთანასწორობისა გამო. ზოგადი პრივილეგიების მქონენი უფრო მეტ უკმაყოფილებას აცხადებდნენ მათ წინააღმდეგ, ვისაც მეტი პრივილეგია ქონდა, ვინემ ყოველუფლებასა და პრივილეგიას მოკლებული ხალხის უმრავლესობა. ამიტომ ყველას გულს ერთნაირად მოხვდა და ააღელვა ხალხი არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ, როდესაც რუსსომ განშარტა, რა არის მესამე წოდება (tiers état). „სწორედ ის არის ხალხი, რასაც ზოგიერთ ქვეყანაში ბედავენ და მესამე წოდებას ეძახიან. ამგვარი სახელწოდება სწორედ იმას ნიშნავს, რომ პირველი და მეორე ადგილი პირველი ორი წოდების კერძო ინტერესებს უჭირავთ და მთელი ხალხის ინტერესი კი ბოლოშია მოქცეულიო“.

რაციონალისტების ისეთ მედგარმა კრიტიკამ არსებულ რეჟიმის წინააღმდეგ, როგორიც იყო მონტესკიოს კრიტიკა, ამ რეჟიმის ისე სამარცხვინოდ აგდებამ, როგორც ვოლტერმა აიგდო, ხალხის გრძნობის ისეთმა აღეჭვებამ, როგორც ეს რუსსომ მოახერხა, და ბევრმა კიდევ სხვა ამგვარმა მოვლენებმა აავსეს ფიალა ხალხის მოთმინებისა.

ყველა ამას ზედ დაერთო კანტის ფილოსოფიური

კრიტიკიზმი, რომელმაც სრულიად ჩალეწა ხიდი, რომლითაც მსოფლიოს მოწესრიგება მომდინარეობდა ღვთაებისაგან.

მიზეზთ მიზეზის მაძიებელ კაცის გონებას ფილოსოფოსმა კანტმა განუსაზღვრა სფერა მოქმედებისა და გამოაშკარავა ამ სფერის გარეშე ხეტიალის უსაფუძლობა.

ჩვენს გონებას, სთქვა კანტმა, შეუძლიან საგნების შესწავლა იმიტომ, რომ ის, რაც ამ საგნებში შეისწავლება, თვით გონებისაგანვე რის განსაზღვრული; სწავლა შესაძლოა იმიტომ, რომ შესასწავლებელ საგნად ვხდით იმას, რაც ჩვენისავე გონებით ისახება ამ საგნების ზედგავლენით.

თვით წარმოდგენა ჩვენი გონების გარეშე მყოფ საგნებისა, რომელნიც ზედგავლენობენ ერთმანეთზე და ჩვენზედაც—წარმოდგენა იმისი, რომ ეს საგნები ჩვენი გონების გარეშე მდგარნი ანუ გარეშე მეოთნი არიან, უკვე გულისხმობს დროსა და სივრცეს, რომელნიც თვით შეადგენენ სუბიექტის იდეალურ წარმოდგენას. მაშასა-დამე, ყოველი, რაც დროსა და სივრცეში ხდება, არსებობს სუბიექტის გარეშე კი არა, არამედ როგორადაც მისი, სუბიექტის, წარმოდგენა.

გონებას შეუძლიან შესწავლა იმისი, რაც გონებისაგანვეა წარმომდგარი. „ეს აზრი“— ამბობს ვლ. სოლოვიოვი—„უარ ჰყოფს ჩვენს გარეშე მყოფ ჩვენზე მოქმედ საგნებისა და მოვლენების ჩვენგან, ვითომ, დამოუკიდებლობას. ამ აზრის არივე მხარე, დადებითიც და უარყოფითიც, სრულ ჭეშმარიტებას შეადგენს, შეადგენს იმ ახალ გზას მსჯელობისას, რომელზედაც მკვი-

დრად და ნათლად დადგა კანტი სხვა ფილოსოფოსებთან შედარებით. ამით აამაღლა მან ფილოსოფიური მსჯელობა და აიყვანა ფილოსოფია ღირსების იმ მაღალ მწვერვალზე, საიდამაც უკუგდეული იგი თავის დღეში აღარ იქნება“.

პრაკტიკული შედეგი ამ ფილოსოფიური აზრისა იყო ის, რომ ამ აზრმა, რაც აქამომდე კაცის გონებით შვიდ ცას ზევით იყო აბძანებული, უკან გონებაშივე ჩანაბძანა და უთხრა ამ გონებას; „შენვე სჭრი და შენვე კერავ“, უსაფუძლოა შენი შენს იქით ხეტიალი, შენი და, ვისიც შენ ხარ წარმომადგენელი, ე. ი. ადამიანის ბედი და უბედობა, ადამიანის კეთილდღეობა შენვედვეა დამოკიდებული.

ბუნებითი მეცნიერების ყოველმა შტომ რეალური და საბუთება მისცა ამ ფილოსოფიას და საფრანგეთის ხალხის აზროვნებაში ჰუმანისტებისა და რაციონალისტების ზედგავლენით დატრიალდა ჩარხი ევოლიუციისა ადამიანის დახშული პიროვნების აღსაღვენად. მოხდა საფრანგეთის დიდი რევოლიუცია, რომელმაც დაანგრია აშენებული საშუალო საუკუნოებში ტაძარი საზოგადოებრივი ცხოვრების პრიცნიპისა. ნანგრევზედ აშენდა ახალი ტიპი დასავლეთ ევროპის ეხლანდელი უფლებრივი კონსტიტუციებისა.

საფრანგეთის ერის კრებულმა მუხლ-მუხლად გამოაცხადა ქვემორე მოყვანილი ადამიანისა და მოქალაქეს უფლებანი, რომელნიც უზრუნველ უნდა ყოფილიყვნენ, მიუხედებად იმისა, რანაირი პოლიტიკური ფორმა იქნებოდა მიღებული სახელმწიფოს მოწესრიგებაში.

კომისიისგნით შემუშავებული დეკლარაცია წაუ-

კითხა მირაბომ კრებულს და კრებულისაგან დამტკიცი-
ბულ იქმნა 26 აგვ. 1789 წელს. დეკლარაცია იგი,
რომელიც 1791 წლის კონსტიტუციის თავშია მოქ-
ცეული, იყო:

**დეკლარაცია ადამიანისა და მოქალაქეს
უფლებებისა.**

(Declaration des droits de l'homme et du citoyen*).

საფრანგეთის ხალხის წარმომადგენელთა კრებულმა, მი-
იღო რა მხედველობაში, რომ ხალხთა უბედურებისა და
მართველობათა გარყვნილების თავი და თავი მიზეზი
არის ადამიანის უფლებათა არცოდნა, დავიწ-
ყება ან დაგმობა, გარდასწყვიტა: აღნუსხოს და საჯა-
როდ გამოაცხადოს ადამიანის ბუნებრივი ხელშეუხ-
ებელი და უწმინდაესი უფლებები, რათა ნუსხა იგი
ყოველ წევრს საზოგადოებისას მუდამ თვალ წინ ქონ-
დეს და მოაგონებდეს მას მის უფლებასა და მოვალეობას;
რათა შესაძლებელ იქნეს ყოველი საკანონმდებლო და
დგენილებისა და მართველობის, როგორც აღმასრულე-
ბელი ორგანოს, ყოველი მოქმედების ამ უფლებებთან
შემოწმება და მით იგი დადგენილებათა და მოქმედება-
თა მიმართ ნდობისა და პატივისცემის გამოწვევა; რათა
დღეის ამას იქით ამ მარტივ და შეუბლალავ საფუძველ-

*) უნდა აღფიქროთ, რომ კომისია ამ დეკლარაციის შედგენაში
ხელმძღვანელობდა ამერიკის შტატებისგან შედგენილი 1774-1776
წ. დეკლარაციით, რომელიც წააგავს ზემო აღნიშნულს, ხოლო
ესოდენ მნიშვნელოვანი კი არ არის ისტორიაში.

ზე დამყარებული მოქალაქეთა მოთხოვნილებანი მიმართულ იქმნენ კონსტიტუციის და საერთო კეთილდღეობის დასაცველად. ამისა გამო ერას კრებული მიიღებს და აცხადებს წინაშე უზენაესისა და მის მფარველობის ქვეშემდეგ უფლებებს ადმიანისას და მოქალაქესას:

სტ. 1. — ადამიანები იბადებიან და არიან თავისუფალნი და უფლებებით თანასწორნი. განსხვავება საზოგადოებაში შეიძლება იმქნეს მხოლოდ საზოგადოების სარგებლობაზედ დამყარებული.

2. — ყოველი პოლიტიკური შეკავშირების მიზანი არის ადამიანის ბუნებრივი და ხელშეუხებელი უფლებების დაცვა. იგი უფლებები არიან: თავისუფლება, საკუთრება, პაროვნების ხელშეუხებლობა და გამკლავება წინააღმდეგ ყოველგვარი დაჩაგვრისა.

3. — ყოველი უმაღლესი უფლება ხალხიდამ მომდინარეობს არსებითად. არც ერთ წევრს საზოგადოებისას, არც ერთ წევრთა ჯგუფს არ შეუძლიანთ, გარდა ზალხისაგანვე მინიჭებული უფლებებისა, სხვა უფლებებით სარგებლობა.

4. — თავისუფლება ნიშნავს ყველა ისეთ მოქმედებას, რაც ვნებას არ აძლევს სხვას; ამგვარად, ადამიანის ბუნებრივი უფლებების განხორციელება განისაზღვრება მხოლოდ სხვა ადამიანთა იგივე ბუნებრივი უფლებების შეუზღუდებლობით. ეს შეუზღუდებლობა განსაზღვრულ უნდა იქმნას კანონებით.

5. — კანონს შეუძლიან აკრძალვა მხოლოდ ისეთი მოქმედებისა, რომელიც საზოგადოებისათვის ვნების მომტანია. რაც კანონით აკრძალული არარის, ის არავის არ დაეშლება და რასაც კანონი არ აკისრებს, ის არავის არ დაეკისრება.

6.— კანონი არის საერთო ნება-სურვილის გამოხატვა. ყველა მოქალაქეს ან მის წარმომადგენელს შეუძლიან მონაცილეობა მიიღოს კანონის შემუშვებაში. კანონი, ბრალსა სდებს იგი, თუ ამართლებს, ყველასათვის ერთნაირი უნდა იყოს. ყველა მოქალაქენი კანონის წინაშე თანასწორნი არიან და ამიტომ ყველას ერთნაირი გზით და უფლებით მიეცემა და მიენიჭება საზოგადოებაში ხარისხი, ადგილი და თანამდებობა, თანახმად მხოლოდ მის პირადი ზნეობისა და გონიერება-განვითარებისა, სხვა ყველა გარემოებათა მიუხედავად.

7.— არცერთი ადამიანი არ შეიძლება იქმნას ბრალდებული, დაჭერილი ან დაპატიმრებული, თუ არ კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში და კანონითვე მრღვებული წესის თანახმად. ვინც მოითხოვს, მოამზადებს, აასრულებს ან სხვას აასრულებინებს კანონის გარეშე რამე ბრძანებას, უნდა დაისაჯოს; ხოლო ყოველი მოქალქე კანონის თანახმად მოწვეული ან დაჭერილი, მოვალეა დაუყოვნებლივ დამორჩილდეს მოთხოვნილებას: დაუმორჩილებლობა დანაშაულად ითვლება.

8.— კანონი უნდა განსაზღვრიდეს მხოლოდ საჭირო და აუცილებელს სასჯელს. არავინ არ შეიძლება იქმნას დასჯილი, თუ არ თანახმად დანაშაულის ჩადენამდე მიღებული და გამოცხადებული კანონისა და წესისა.

9.— ყოველი ადამიანი უდანაშაულოა, სანამ იგი დამნაშავედ არაა ცნობილი. ამიტომ, დაპატიმრების დროს ყოველი სისასტიკე, რომელიც არაა აუცილებელი საჭიროებით გამოწვეული, რომ არ გაიქცეს დაპატიმრებული, დანაშაულად ითვლება და სასტიკად უნდა ისჯებოდეს კანონით.

10.— არავინ არ უნდა იყოს შეწუხებული საკუთარი აზროვნების გამო, სარელიგიოზო კითხვების შესახებაც კი, თუ ამ აზრების გამომჟღავნება არ არღვევს კანონით მიღებულ წესიერებას.

11.— თავისუფალი გაზიარება აზრისა და შეხედულებისა ერთი უძვირფასესთაგანი უფლებაა აღამიანისა; ამიტომ ყოველ მოქალაქეს თავისუფლად შეუძლიან ილ პარაკოს, რაც უნდა, დაწეროს, დაბეჭდოს, ხოლო პასუხი კი უნდა აგოს კანონის წინაშე, თუ ამ თავისუფლებას საბოროტოდ მოიხმარს.

12.— აღამიანისა და მოქალაქეს უფლებათა გარანტია უსაჭიროესად ითხოვს ხალხთა შეკავშირებას სახელმწიფოდ, რომელიც წარმოადგენს ძალას; ეს ძალა, ამგვარად, არსდება ყველას ინტერესების დასაცველად, და არა იმ პირთა სასაჩვებლოდ, რომელთაც ჩაბარებული აქვთ იგი.

13.— სახელმწიფოს მართვა-გამგეობისათვის ხარჯის დასაფარავად შემოღებულ უნდა იქმნას საზოგადო გარდასახადი; გარდასახადი უნდა იყოს თანასწორად გაწერილი ყველა მოქალაქეებზე, თანახმად მათი შეძლებისა.

14.— ყველა მოქალაქეს აქვს უფლება თვით ან თავის წარმომადგენლის შემწეობით შეამოწმოს და დარღმუნდეს გარდასახადების საჭიროებაში, გამოაცხადოს თავისი თანხმობა ამ გარდასახადებზე, თვალყური აღევნოს მათ მოხმარებას, განსაზღვროს მათი რაოდენობა, საფუძველი და წესი და დრო გარდახდევინებისა.

15.— საზოგადოებას აქვს უფლება მოსთხოვოს სახელმწიფოს ყოველ მოხელეს ანგარიში მისი მოქმედებისა.

16.— როდესაც საზოგადოებას სამმართველო უფლებები არა აქვს დაყოფილი და ნათლად განსაზღვრული, მაშინ მას არც კონსტიტუცია აქვს და არც თავის უფლებების სრული გარანტია.

17.— საკუთრება, როგორც ხელშეუხებელი და უწმინდაესი კუთვნილება, არავის არ ჩამოერთმევა, თუ არ თანახმად კანონმდებლობის და საზოგადოების აუცილებელ საჭიროებისათვის. მოსაკუთრე საკუთრების ჩამორთმევამდე უნდა დაკმაყოფილებული იქმნას სინიდისი-ერი ფასის მიცემით.

*
* *

ამ დეკლარაციით გამოცხადებული ინდივიდუალიზმის პრინციპები მიღებულ იქმნენ საძირკვლად, რომელზედაც მას შემდეგ თანდათანობით გადაშენდა და წარმოსდგა აწინდელი ევროპიული უფლებრივი დემოკრატიული კონსტიტუციები. დეკლარაციით დამკვიდრდა ისევ ის დედააზრი, რომ სახელმწიფო არის საზოგადოებისათვის, და არა საზოგადოება სახელმწიფოსათვის; რომ არსებითი მიზანი კაცთა ცხოვრების გასაზოგადოებრივებისა არის: მიეცეს წევრს საზოგადოებისას, როგორადაც ინდივიდს, უფერები საშუალება თვითგანვიარებისა, რადგან მხრიდან ეს არის მართალი გზა თვით საზოგადოების გაძლიერებისაც.

„ძველი საუკუნოების სახელმწიფო“-ამბობს ვილსონი“ — უარს ჰყოფდა პიროვნების ყოველგვარ უფლებას, ინდივიდი სახელმწიფოსათვის იბადებოდა; ეხლანდელი კი არსებობს ინდივიდისათვის და თავის უფლებებიდამ უარს ჰყოფს ყველა იმ უფლებას, რომელიც

პიროვნების უფლებაზე არარი დამოკიდებული. დემოკრატულმა იდეიამ ღრმად გაიდგა ფესვი ეხლანდელ დაწინაურებულ სახელმწიფოებში იმიტომ, რომ ინდივიდს მიეცა დიდი მნიშვნელობა, არა როგორც ნაწილს სახელმწიფოსას“.

ეხლანდელი ევროპიული სახელმწიფო უფლებრივია, ვამბობთ, იმიტომ, რომ მის ქვეშემრდომნი არიან მოქალაქობრივი უფლებებით გათანასწორებულნი და ამ უფლების გარდა პოლიტიკური უფლებებიც, თუმცა მეტნაკლებად, მაგრამ მაინც მინიჭებული აქვთ. სახელმწიფოს უფლება არ არის განუსაზღვრელი, როგორც ძველად იყო არამედ განსაზღვრულია და, რაც საზღვარს გარეშე რჩება, ის მოქალაქეთა უფლებებს ეკუთვნის. უფლებას და მოვალეობას სახელმწიფოსას აღარ ეკუთვნის ის, რაც შეიძლება განხორციელდეს კერძოინიციატივით და კოოპერაციით. სახელმწიფოს აქვს, მაგალითად, უფლება მოსთხოვოს თავის ქვეშემრდომს სამხედრო სამსახური, გაღაახდევინოს სახელმწიფო გარდასახადი, აკისრებინოს სხვა და სხვა დაკანონებული მოვალეობანი, ხოლო გარეშე ამ განსაზღვრული უფლებისა და მოვალეობისა მას სხვა არა ფრის დაკისრება არ შეუძლიან და ყოველი მოქალაქე მოქმედობს დამოუკიდებლად. აი სწორედ ამ უფლებათა და მოვალებათა ამგვარმა შემოფარგვლამ გარდააქცია ძველი სახელმწიფო ეხლანდელ უფლებრივ სახელმწიფოდ.

რადგან სახელმწიფოს ყველა მისწრაფებათა განმახორციელებელი მართველობა არის, როგორც თავიდათავი აღმასრულებელი ორგანო სახელმწიფო ში, ამიტომ მართველობის მისწრაფებაც გარკვეულ-განსაზღვრულია.

„მართველობა“ ამბობს ვილსონი, „არის საზოგადოების ორგანო, მისი უნივერსალური იარაღი. მაშასა-დამე, მიზანი მისი უნდა იგივე იყოს, რაც საზოგადოების მიზანს შეადგენს. რა არის მიზანი საზოგადოებისა? რა არის თვით საზოგადოება? ეგია ასოციაცია ადამიანებისა, რომელნიც შეკავშირებულან ერთმანეთის დახმარებისათვის. დახმარებისათვის რაში? თვითგანვითარებაში. საზოგადოება ცდილობს მოუპოვოს თავის წევრს ადამიანს საშუალება ყოველმხრივი თვითგანვითარებისა, რათა ადამიანს შეეძლოს თავისი ინდივიდუალური ძალლონის დამოუკიდებლად და სავსებით მოხმარება. ამიტომ, განაგრძობს ვილსონი-- „მიზანი მართველობისა არის — ხელი შეუწყოს ერთ ორგანიზმოდ შეკავშირებულ საზოგადოებას მის მისწრაფების განხორციელებაში. გაწესრიგება, რომელზედაც ვლაპარაკობთ, ყოველ საქმეში ჩაჩრას კი არ ნიშნავს, არამედ იგი არის ადამიანის ყოველ დარგში პირობებისა და გარემოებების, შეძლებისა და გვარად, გათანასწორება და ეს გათანასწორება კი სწორედ წინააღმდეგია ყოველ საქმეში დაუკითხავად ჩარევისა.“

რომ კიდევაც მოეხერხებინა ადამიანს და შეედგინა თავისი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ისეთი კანონმდებლობა, რომელიც შემდეგ შიაც გამოხატავდა და დააკმაყოფილებდა მის იდეალს და მოთხოვნილებებს, კანონმდებლობა იგი მაინც არ იქნებოდა მუდმივი, რადგან მის შეცვლა-შეუცვლელობა დამოკიდებულია ადამიანის ნება-სურვილზე. ამით განსხვავდება ადამიანისგნით შემუშავებული კანონი ბუნების კანონისაგან.

„ადამიანისგნით შემუშავებული კანონმდებლობა“, ამბობს პროფ. ჰეკსლი— „წარმოადგენს ბრძანებათა სიას,

რომელიც ასასრულებლად ეძლევა საკუთარის სურვილითა და ნებით აღჭურვილ არსებათ, რომელთაც შეუძლიანთ ასასრულონ ან არ ასასრულონ, და კანონს ძალა არ ეკარგება, არ იღუპება იმით, რომ მას დაარღვევენ. სხვაა ბუნების კანონი. იგი შემუშავებული ბრძანება კი არა, გამოკვლეული დადგენილებაა და უტყუარ კანონად იცნობა იმდენად, რამოდენადაც ბუნების მუდმივ მოვლენათა უტყუარი გამომხატველია. უმეცრება იქნება წარმოვიდგინოთ ბუნების კანონის შეცვლა ან დარღვევა. შესაძლებელია მხოლოდ არ გავიმართლდეს ბუნების კანონად მიღებული ჩვენი დადგენილება და ეს იქნება დამტკიცება იმისი კი არა, რომ ბუნების კანონთა მოქმედება შეცვლილა, არამედ იმის, რომ დაკვირვებაში შევმცდარვართ. ბუნების ნამდვილი კანონი უნივერსალურია და ყოვლად შეუძლებელია მისი შეცვლა.“

ამ ორმა გარემოებამ: ერთის მხრით ადამიანისგნით შემუშავებული კანონის დამკიდებულებამ კაცთა ნება-სურვილზე და მეორე—სახელმწიფოს მისწრაფებათა განხორციელებამ მართველობის შემწეობით აიძულა ხალხი დიდის ყურადღებით მოქცეულიყო სახელმწიფოს საკანონმდებლო და სამმართველო კრებულთა წევრების არჩევის დროს. საზოგადოებრივი ცხოვრების მისწრაფება რომ შეთანხმებულ ქმნილიყო მთელი ხალხის ნება-სურვილთან, რომ თვით ხალხი გამხდარიყო თავისი ბატონი, თავისთვის სავალდებულო კანონების მიმღები, კონსტიტუციის ძირითად კანონებში გატარებული იქმნა პრინციპი ხალხის წარმომადგენლობისა წარმომადგენელთა ხალხის მიერ არჩევით, ანუ პრინციპი პოლიტიკური უფლებების გადაცემისა ხალხის ხელში. ამ გარემოებამ

შექმნა ეხლანდელი ევროპიული უფლებრივი, დემოკ-
რატიული სახელმწიფო; ამან გარდაქმნა მონარქი, აბ-
სოლიუტიზმის წარმომადგენელი, უფლება განსაზღვ-
რულ კონსტიტუციონრ მონარქად, სადაც იგი
არის, და მოსპო იქ, სადაც აღარ არის.

სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში ხალხის წარმო-
მადგენლების მიწვევით განხორციელდება ორი პრინ-
ციპი: დემოკრატიზაციის და ინდივიდუალიზმის. დემო-
კრატიზაციის იმიტომ, რომ მართვა-გამგეობის ხალხის
წარმომადგენლებზე გარდაცემით, თვით ხალხს ეძლევა
უფლება თავისი საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრი-
გებისა და ინდივიდუალიზმის—იმიტომ, რომ ყოველი
წარმომადგენელი, როგორადაც ინდივიდი, გამომხატვე-
ლია ინდივიდების ნება-სურვილის და მოთხოვნილებებისა,
რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს სახელმწიფო, ვინა-
იდგან სახელმწიფო არის ინდივიდებისათვის და არა ინ-
დივიდები სახელმწიფოსათვის.

სახელმწიფო მოთავსებული რომ იყოს ერთგვარ
მიწა-წყლის და ერთნაირი ჰაერის ტერიტორიაზედ,
ამ ტერიტორიის მცხოვრებნი რომ იყვნენ ერთი და იგივე
ერის, სარწმუნოების, ზეჲჩვეულების წარმომადგენელნი,
ერთი და იგივე წარსულის მქონენი, ერთ ენაზე მოლაპარა-
კენი, მაშინაც პრინცის წარმომადგენლობისას არ მოაკლ-
დებოდა რეალური მნიშვნელობა, რაღაც ესეთი ხალხი
მაინც სხვა-და-სხვა ინდივიდებისაგან იქნებოდა შემდგარი,
სხვადასხვა ინდივიდუალური მოთხოვნილებებით, ვინაიდ-
გან ერთი დედმამის შვილობაც კი არა სპობს შვილთა
შორის ინდივიდუალურ სხვა და სხვაობას.

სახელმწიფოები ნამდვილად კი შესდგებიან სხვადა-

სხვა მიწა-წყლის და ჰავის ტერიტორიებიზგან, რომელ-
თზედაც მოსახლეობენ ერები ენით, სარწმუნოებით,
კულტურით განსხვავებულნი.

ამგვარმა სხვადასხვაობამ წარმომადგენლობის პრინ-
ციპის შინაარს—დემოკრატიზაციას და ინდივიდუალიზმს
—მიუმატა შესამე ელემენტი: წარმომადგენლობა ნაცი-
ონალურ-ტერიტორიალური მოთხოვნილებებისა.

რადგან სახელმწიფო აღვიარებულ იქმნა ინდივიდ-
ებისათვის და ინდივიდები კი წმინდა ინდივიდუალური
განსხვაების გარდა ნაციონალურ-ტერიტორიულ მოთ-
ხოვნილებებითაც განსხვავდებიან, ამიტომ სახელმწიფო-
მართვა-გამგეობა გარყო ორ ნაწილად საკანონმდებლო ზო-
გადი უფლებების დეცენტრალიზაციით: საერთო მოთხო--
ვნილებანი მთელი სახელმწიფოსი, განურჩევლად მის
სხვადასხვა შემადგენელი ნაწილებისა, გახდნენ საზრუნ-
ველ და მოსაწესრიგებელ საგნად სახელმწიფოს საერთო
საკანონმდებლო და სააღმინისტრაციო კრებულებისა და
სხვადასხვა ტერიტორიულ-ნაციონალურ მოთხოვნი-
ლებათ წინგაძლოლა კი გარდაეცა თვით ამ ტერიტორი-
ებს, როგოროდაც ავტონომიურ ერთეულებს, სახელმწი-
ფოს საერთო პარლამენტის ზედამხედველობით.

ადგილობრივი ცხოვრების მოწესრიგებისთვის და ამ
ცხოვრებით გამოწვეული კითხვების გარდაწყვეტისთვის
ავტონომიებს მიეცათ უფლება სატერიტორიო კანონე-
ბის გამოცემისა ნაცვლად იმ კანონების, რომელნიც
ამნაირივე კითხვების გარდასაწყვეტად სახლმწიფოს საე-
რთო კანონმდებლობაში არაან შეტანილნი, და ამით ავ-
ტონომია იქმნა განსხვავებული საერთო თვითმართვე-
ლობისაგან (Земское самоуправление), რომელსაც ად-

გილობრივ საქმეების მართვა-გამგეობაში აქვს მხოლოდ სააღმინისტრაციო უფლებანი და საკანონმდებლო კი არა.

ამგვარად, ავტონომიის იდეია შეაღენს წარმომა-დგენლობის პრინციპის განვითარებას და, როგორადაც განვითარება, უფრო პროგრესიულია.

საცა მიღებულია პრინციპი წარმომდგენლობისა, იქ ავტონომიის უარყოფა, უკან დახევას ნიშნავს და არა წინსვლას.

„თუ სახელმწიფოში არის ისეთი ტერიტორიები“, ამბობს პროფ. ლაზარევსკი — „სადაც მცხოვრებელთ აქვთ თავიანთი წარსულის ხელვნა, ისტორიული მოგონებანი, თუ ეროვნული თვითცნობიერება მათი ძლიერია, მათი ავტონომიის უარყოფა შესაძლებელია მხოლოდ მათი ეროვნების გამომხატველი საქციელების წინააღმდეგ ბრძოლით. ეს ბრძოლა საერთო სახელმწიფოს მართველობას გარდაქმნის კერძო (ნაციონალურ) პარტიის მართველობად, რომელიც ემსახურება მთელ სახელმწიფოს კი აღარ, არამედ მის (ცენტრალურ) ნაწილს. ამ პირობებში სალხემწიფოს საერთო მართველობა განაპირა ქვეყნებისთვის ხდება რაღაც სხვისად და იშვევს უნდობლობას, რომელიც მოქმედობს მათზე როგორადაც დაჩაგვრა“.

სახელმწიფოს შინაგან მცხოვრებლებთან ბრძოლას იძულებული, მართველობა ვეღარ აკმაყოფილებს მისდამი მიმართულ ხალხის კანონიერ მოთხოვნილებებს და ვარდება ხალხი იმ უკიდურეს მდგომარეობაში, როდესაც მას აღარ შეუძლიან თავისი ახლო მომავლის გათვალისწინება და გამსჭვალულია მხოლოდ ერთის აზრით: როგორ გაინთავისუფლოს თავი მონობიდგან, რომელიც უსპობს მას ცხოვრების ყოველ სახსარს.

ამგვარად, დასკვნის პროფ. ლაზარევსკი: „ სახელმწიფოს შიში სეპარატიზმის გამოწვევისა მოელის ავტონომიის მიღებით კი არა, არამედ ამ ავტონომიის უარყოფით ”.

სახელმწიფო ავტონომიის მიღებით, სომობს სახელმწიფო საქმეთა მართვა-გამგების ზოგად გაერთნაირებას, მაგრამ, სამაგიეროდ, შესაძლებელად ხდის ყველა თავის შემადგენელა ტერიტორიების არსებითად შეკავშირებას ერთ ძლიერ სახელმწიფოდ.

ამითი აიხსნება, რომ ეხლანდელ ევროპიულ სახელმწიფოთა შორის; იქ, სადაც კულტურული განვითარება დაწინაურებულია და ტერიტორიულ-ნაციონალური სხვადასხვაობა მეტად არის, ზოგადი პოლიტიკური უფლებების დეცენტრალიზაცია და განსხვავებულგან კერძოებულ ტერიტორიათა ავტონომიური თვითმართველობა, ზოგან სუვერენიტეტამდე მიღწეული, უფრო შემოღებულია და ამით თვით სახელმწიფონი, როგორადაც პოლიტიკური ერთეულნი, უფრო ძლიერნი არიან.

ევროპის ხალხს დიდი ბრძოლა და სისხლის ლვრა დასჭირდა, სანამ დაიმკვიდრებდა იმ კონსტიტუციის, რომელიც ეხლა აქვს.

*
* *

უფლებრივი კონსტიტუციების ერთმანეთთან შედარებაში, მათი ღირსების გამოსარკვევად, ასაწონ-დასაწონად ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ხოლმე ყველა ზემოთ აღნიშნული პრინციპები და ჩაუკვირდეთ უფლებრივ სახელმწიფოს ძირითად კანონმდებლობის სტატუტებს, რომელნიც უზრუნველ უნდა ჰყოფდნენ ამ პრინციპების რეალურ განხორციელებას ცხოვრებაში.

ამ მხრით შვეიცარიის კონსტიტუციის ძირითადი კანონმდებლობა, რომელიც მოგყვავს ქვემოდ, ერთი უკეთესთაგანია არსბეულ კონსტიტუციებთა შორის და ამიტომ საგულისხმოა ჩვენთვის ვიცოდოთ, მოკლედ მაინც, მისი წარსული.

* * *

შვეიცარიის ხალხი, როგორადაც მიუვალ მთა ადგილებზე მცხოვრები, მართალია, არას დროს არ ყოფილა ფეოდალიზმით ისე შეკრულ-შებოჭილი, როგორადაც მაგალითად, საფრანგეთის და გერმანიის ბარის ხალხი, მაგრამ მის კანტონებს, მეზობლად მყოფნი ძლეავმოსილნი ფეოდალები და მონასტრები, მაინც ეპატრონებოდნენ.

როდესაც გაბსბურგებმა პირველად ჩაიგდეს ხელში ავსტრიის ხელმწიფობა, კანტონები შვიც, ური და უნტერვალდენი, რომელიც შეადგენდნენ ავსტრიის სამფლობელოს ნაწილს, შეკავშირდნენ ერთმანეთთან და დაიწყეს ბრძოლა დამოუკიდებლობის მოსაპოებლად.

იმ დროს ალპიის საოლქოში მდებარე ქალაქები: ციურიხი, ბერნი, ბაზელი და შაფგაუზენი საიმპერიო ქალაქებად ითვლებოდნენ და პირდაპირ იმპერიასთან ქონდათ ვასსალური დამოკიდებულება. მე XIII საუკუნის ნახევარში შეკავშირებულმა კანტონებმა შვიც, ური, უნტერვალდენმა მოითხოვეს ამ ქალაქებთან უფლებებით გათანასწორება და თუმცა გაბსბურგებს ეს არ ეჭა-შნიკათ და წინააღმდეგობას უცხადებდნენ, მაგრამ იმპერატორი გენრიხი მე VII მაინც იძულებული გახდა 1309 წ. გამოეცხადებინა ამ კანტონების იმპერიასთან პირდაპირი დაკავშირება.

ხსენებული სამი კანტონის კავშირს მიემხრო ჯერ
მათი მეზობელი კანტონი ლიუცერნი და მერე კანტო-
ნები ციურიხი, გლარუსი, ცუგი და ბერნი. ამ კავ-
შირმა, ცნობილმა პირველად როგორადაც „ძელი კავ-
შირი ჩრდილოეთ გერმანიისა“, დაირქვა სახელი შვეი-
ცარია და გამოშორდა გერმანიას ცალკე სახელმწიფოდ.
სამი ეროვნების ხალხმა—ნემენცებმა, ფრანგებმა და იტა-
ლიელებმა თავიანთი შეკავშირებით, ერთმანეთის დახმა-
რებით და გატანით დაუშტკიცეს ქვეყანას, რომ სხვა და
სხვა ერების წარმომადგენელთაც შეუძლიანთ მშევრულობი-
ანი განსაზოგადოებრიული ცხოვრება და კულტურულად
განვითარება, როგორც ერთ პოლიტიკურ ერთეულს,
მჭიდროდ შეკავშირებულს ერთს კონფედერაციაში.

* * *

ვესტფალიაში შეთანხმებით 1648 წელს ევროპის
დიდი სახელმწიფოებმა შვეიცარია დამოუკიდე-
ბელ სახელმწიფოდ აღვიარეს. მიუხედავად ამისა
საფრანგეთმა დიდი რევოლუციის შემდეგ (1798
—1802) შვეიცარიაში ჯარი გაგზავნა და უნდო-
და, დამოუკიდებლობას მიჩვეული შვეიცარიის კანტონე-
ბი (თემები), თავისთან შეერთებინა, რათა შემდგარიყო ერ-
თი მჭიდროდ შეკავშირებული ცენტრალისტური სახელმ-
წიფო, ეგრედ წოდებული „ჰელვეციის რესპუბლიკა“.
მაგრამ ამაოდ საქმე კავშირით გათავდა. შემდეგ ამისა
დიდმა ნაპოლეონმა (1803—1813) მოინდომა ამ, მითო-
მდა, უნიადაგო კავშირის სრულიად მოსპობა და შვეი-
ცარიის და საფრანგეთის გაერთიანება თავის ქვეშემრ-
დომობით, მაგრამ სურვილი ვერ შეისრულა. საფრან-

გეთში 1815 წელს დადგა რეაქცია. ბრაზმოსულმა კანტონებმა, საფრანგეთის მართველობისაგან დაჩაგვრის გამო, იმ მართველობისაგან, რომლის შედგენაში შვეიცარიის ხალხს საფრანგეთი არ დაკითხებია, გამოუცხადეს საფრანგეთს წინააღმდეგობა, როგორადაც ამერიკელებმა ინგლისს, და დაიმკვიდრეს უფრო მეტი დამოუკიდებლობა საგრანგეთისაგან, ვიდრე 1798 წლის კავშირით ქონდათ მათ მინიჭებული.

* *

ნაპოლეონი დამარცხდა. ვენის კონგრესში, რომელიც შეუდგა ნაპოლეონისაგან მინგრეულ-მონგრეულ საქმეების აღდგენას და გაწესრიგებას, ყურადღება მიაქცია შვეიცარიასაც. შეკავშირებული კანტონები იძულებული გახდნენ მიელოთ თავიანთ კავშირში უენევის კანტონი, ვალისი, ნევშატელი და სხვა ოლქები, რომელნიც აქამომდე შეკავშირებულ კანტონებისაგან იყვნენ დამოკიდებულნი. ამგვარად, შესდგა ახალი კავშირი, ეგრედ წოდებული შეთანხმება 1815 წლის, რომელიც წარმოადგენდა ოცდაორი კანტონისაგან შემდგარს ლიგას. როდესაც დაპბერა რეფორმაციის გრიგალმა და რევოლიუციონური მოძრაობა მოედო მთელ შვეიცარიას 1830—1848 წ., იქ, საღაც ქრისტეანეთა წარმომადგენლების ორი მოწინააღმდეგე ბანაკი: კათოლიკები და პროტესტანტები გათანასწორებულნი იყვნენ ძალებით, მორწმუნეთა ურთიერთ-შორის ბრძოლას შედეგად უნდა ეკლესიის დაუძლეურება მოჰყოლოდა, და ასეც მოხდა ჯერ ციურიხში 1839 წელს და მერე აარგაუში. კათოლიკეთა მოწინააღმდეგე პარ-

ტიამ, გაბრაზებულმა კათოლიკეთა ცალშერივი, უსამართლო მოქმედებით, მოითხოვა რვა მონასტერის დაკეტვა აარგაუს კანტონში. აბიდა მიყენებული პარტია კათოლიკებისა შეეკითხა კონფედერაციის სეიმს: მოითმენს თუ არა სეიმი 1815 წლის შეთანხმების დარღვევას? სეიმი იძულებული გახდა კომპრომისი მოეხდინა და დაადასტურა მხოლდ ოთხი მონასტერის დაკეტვა აარგაუში. ეს მოხდა მარიამბის თვეში 1843 წლ.. შემდეგ თვეში კათოლიკეთა შვიდი კანტონისაგან: შვიც, ური, უნტერვალდენი, ლიუცერნი, ფრიბურგი, ვალისი და ცუგი შესდგა ცალკე ლიგა, ეგრედ წოდებული Sonderbund—ზონდერბუნდი. ზონდერბუნდის დეპუტატები, რომელთაც, კანტონების გამოცალკევებისა გამო, თავი უნდა დაეწებებინათ კონფედერაციის სეიმისათვის, არ გამოვიდნენ სეიმიდგან და კონფედერაცია ჰყვეს ბრძოლას იძულებული. კონფედერაციის და ზონდერბუნდის ჯრთიერთშორის ქიშპობამ გასტანა მთელი ოთხი წელიწადი და ნოემბრის ბოლო რიცხვებში 1847 წლ. გარდაიქცა მედგარ ბრძოლად, რომელიც გათავდა 18 დღის განმავლობაში. ამ ომის შედეგი იყო გამოცალკევებული შვიდი კანტონის დამორჩილება და შვეიცარიის 1848 წლის კონსტიტუციის დაარსება, რომელიც 1874 წელს ძირეულად შესწორდა-შეიცვალა, და წარმოსდგა ის უფლებრივი, დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელიც დღეს აქვთ შვეიცარელებს.

ყ ე დ ე რ ა ვ ი ი ს კ თ ნ ს ც ი ც უ ც ი ა

29 მაისი 1874 წ.

თავი 1. საზოგადო დადგენილებანი.

1. ერთად შეკავშირებული შვეიცარიის ოცდაორის დამოუკიდებელი (суворенныie) თემის ხალხი, ე. ი. ციურიხი, ბერნი, ლიუცერნი, ური, შვიცი, უნტერვალდენი (ზევითი და ქვეითი), გლარუსი, ცუგი, ფრიბურგი, ზოლოტურნი, ბაზელი (ქალაქი და სოფელი), შაფგაუზენი, აპენცელი (ორივე როდენოვისა), სენ-გალენი, გრაუბიუნდენი, აარგაუ, ტურგაუ, ტესსინი, ვაალტი, ვალისი, ნევშატელი და შენევა შეადგენენ შვეიცარიის კონფედერაციას.

2. მიზანი კონფედერაციისა არის, უზრუნველ ჰუს სამშობლოს დამოუკიდებლობა, დაამყაროს მშვიდობიანობა და წესიერება. ყველა შვეიცარაელთა შორის და განაძლიეროს მათი საერთო კეთილდღეობა.

3. თემები დამოუკიდებელნი არიან ფედერაციის კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგალში და, როგორადაც ესეთნი, დამოუკიდებლად სარგებლობენ ყველა იმ უფლებებით, რომელნიც კანონმდებლობისა თანახმად ფედერაციის მართველობის უფლებას არ ეკუთვნიან.

4. კანონის წინაშე ყველა შვეიცარელები თანას-

წორნი არიან. შვეიცარიაში არც ქვეშემრდომობაა და არც რაიმე პრივილეგია ადგილობრივი, შთამომავლობითი, პირადი ანუ გვაროვნებითი.

5. კონფედერაცია უზრუნველ ჰყოფს თემთა ტერიტორიას, მათ დამოუკიდებლობას, თანხმად მე-3 მუხლისა და მათ კონსტიტუციას, თავისუფლებას ხალხისას და მის ყველა უფლებებს, მოქალაქეთა კონსტიტუციონურ უფლებებს და აგრეთვე ყველა იმ უფლებას და თანამდებობას, რომელნიც ხალხმა მართველობას მიანიჭა.

6. თემები თავიანთ უზრუნველყოფას კონფედერაციისაგან ითხოვენ. ამგვარი გარანტია თემს მიეცემა: a) თუ მისი კონსტიტუცია საფედერაციო კოსტიტუციის საჭინააღმდეგოს არას წარმოადგენს; b) თუ თემის კონსტიტუცია უზრუნველ ჰყოფს პოლიტიკურ უფლებებს, თანახმად დემოკრატიული რესპუბლიკის წეს-წყობისა; c) თუ იგი კონსტიტუცია თემის ხალხმა მიიღო და დაამტკიცა და თუ შეცვლა მისი, როცა ხალხის უმრავლესობა ამას საჭიროდ დაინახავს და მოითხოვს, ურყოფილი არ არის.

7. ყოველი განსაკუთრებითი კავშირი და ხელშეკრულობა თემების შორის პოლიტიკურ ნიადაგზე აკრძალულია. ხოლო თემებს აქვთ უფლება შეთანხმდნენ და შეკავშირდნენ საკანონმდებლო, სააღმინისტრაციო და სამოსამართლო საქმეების შესახებ; ამ შემთხვევაში თემები მოვალენი არიან აცნობონ ფედერაციის მართველობას, რომელიც, უკეთუ ხსენებულ შეთანხმებაში კონფედერაციის ან დანარჩენი თემების რამე საჭინააღმდე-

გოს დაინახავს, შეთანხმების განხორციელებას დაუშლის. წინააღმდეგ შემთხვევაში შეკავშირებულს თემებს შეუძლიანთ ფედერაციის მართველობას მოსთხოვონ დახმარება ხსენებული კავშირის განსახორციელებლად.

8. მარტო კონფედერაციას აქვს უფლება ომის გამოცხადებისა და ზავის ჩამოგდებისა, მარტო მას შეუძლიან გარეშე სახელმწიფოებთან შეთანხმება და შეკავშირება, ნამეტნავად საბაჟო და სავაჭრო საქმეებში.

9. განსაკუთრებულ შემთხვევაში თემებს შეუძლიანთ შესთანხმდნენ გარეშე სახელმწიფოებს სამეურნეო, სამეზობლო და საპოლიციო კრთხვების შესახებ, ხოლო ამგვარი შეთანხმება კონფედერაციის და თემების უფლებების საწინააღმდევოს არასფერს არ უნდა შეიცვდეს.

10. გარეშე სახელმწიფოებთან ან მათ წარმომადგენლებთან ოფიციალურ დამოკიდებულობას თემები კონფედერაციის სათათბიროს შუამავლობით ახდენენ. ხოლო, გარეშე სახელმწიფოების სააღმინისტრაციო დაბალ დაწესებულებებთან ან და მათ მოსამსახურე პირბეთან შეთანხმება მე 9 მუხლში ჩამოთვლილი კითხვების შესახებ, თემებს პირდაპირ შეუძლიანთ იქონიონ.

11. სამხედრო კაპიტულიაციის მიღება უარყოფილია.

12. ფედერაციის სამართველო წევრთ, კონფედერაციის საერო და სამხედრო მოხელეთ და ფედერაციის

კომისარებს აეკრძალებათ გარეშე სახელმწიფო ებისაგან პენსიის, ჯამაგირს, ჩინების, საჩუქრების და ხევა გვარი ჯილდოს მიღება. თუ მათ უკვე აქვთ დანიშნული პენსია, ჯამაგირი, ჩინები, საჩუქრები და ან სხვა რამ ჯილდო, მოვალენი არიან უარი განაცხადონ, ვიდრე თავიანთ თანამდებიბას ასრულებენ, როგორადაც მოსამსახურე პირი. კონფედერაციის სათათბიროს ნებადართვით, პენსიის მიღება შეუძლიანთ მხოლოდ დაბალ მოსამსახურე პირთ. ფედერაციის ჯარის კაცს, ვიდრე იგი სამხედრო სამსახურშია, გარეშე სახელმწიფოსაგან ნაბოძები ჩინების და ორდენების ტარება აეკრძალება. ყველა აფიციენტს, უნტერაფიციენტს და სალდათებს აეკრძალებათ ხსენებული ნიშნების მიღება.

13. კონფედერაციის არა აქვს უფლება იყოლიოს მუდმივი ჯარი. არც თემს და არც ნახევარ-თემს ფედერაციის მართველობის ნებადაურთველად არ შეუძლიან მუდმივ ჯარში 300-ზე მეტი კაცი იყოლიოს. უანდარმერია ამ სათვალავში არ შედის.

14. როცა თემების შორის ჩამოვარდება რამე განხეთქილება, თემებს არ შეუძლიანთ მიმართონ იარაღს, არამედ უნდა დამორჩილდნენ საფედერაციო კანონმდებლობის თანახმად დადგენილს გარდაწყვეტილებას.

15. გარეშე მტრის შემოსევის დროს, თემის მართველობა დახმარებისათვის ფედერაციის მართველობას მიმართავს და თითონაც არ დააყოვნებს მტრის საწინააღმდეგოდ ყველა იმ ზომების მიღების, რაც ხელთ ექნება. სხვა თემები, რომელთაც კი ძალუბთ დახმარება, მოვალენი არიან მიეშველნენ. ხარჯი კონფედერაციისაა.

16 თუ არეულობა მოხდა კონფედერაციის მცხოვრებთა შორის და ერთი თემი ლამობს გალაშქრებას მეორეზედ, ამ უკანასკნელის მართველობა მოვალეა მაშინადვე აცნობოს კონფედერაციის სათათბიროს, რათა მან, თანახმად მინიჭებული უფლებისა (მუხ-102, §§ 3, 10, 11), შესაფერი ზომები მიიღოს ან კონფედერაციის კრებული მოიწვიოს. თუ საქმას გარემოება იმდენად გამწვავდა, რომ საჭიროა სწრაფი ზომების მიღება, თემის მართველობას კონფედერაციის სათათბიროს ნებადართვით შეუძლიან დახმარებისათვის პირდაპირ სხვა თემებს მიმართოს, რომელნიც მოვალენი არიან მიეშველნენ. თუ თემის მართველობა ვერ მოახერხებს

დახმარების მოხხოვნას, ფეხერაციის მართველობას უფლება აქვს უთხოვნელადაც ჩაერიოს საქმეში. ფედერაციის მართველობას თავისთავად ჩარევა საქმეში იმ შემთხვევაშიაც შეუძლიან, როდესაც არეულობა საშიშ მდგომარეობაში აყენებს მთელს შვეიცარიას. ფედერაციის მართველობა, საქმეში ჩარევის დროს, ხელმძღვანელობს მუხ. 5 დადგენილებებით. ხარჯი, გამოწვეული ამ არეულობით, დაეკისრება იმ თემს, რომელმაც დახმარება მოითხოვა ან რომელმაც არეულობა გამოიწვია, თუ კონფედერაციის კრებული განსაკუთრებული გარემოებებისა მიხედვით სხვანაირად არ გარდასწყვეტს.

17. ყოველი თემი ზემოდ ირ მუხლში ხსებულ შემთხვევებში მოვალეა თავისუფალი გზა მისცეს ჯარს, რომელიც კონფედერაციის წინამდლოლობით მოქმედობს.

18. ყოველი შვეიცარელისათვის სამხედრო სამსახური სავალდებულოა. ვინც სამხედრო სამსახურში გარდაიცვლება ან დასახიჩრდება, უფლება აქვს კონფედერაციისაგან დახმარება მიიღოს ან თითონ, ან მისმა ოჯახმა, თუ ლარიბნი არიან და ამგვარ დახმარებას საჭიროებენ. პირველი შეიარაღება, ტანსაცმელი და ყველა ამანათი სალდათებს უფასოდ ეძლევა. იარაღი სალდათთან რჩება თანახმად იმ პირობებისა, რომელთაც ფედერაციის კანონმდებლობა შეიმუშავებს. სამხედრო სამსახურის დასაჯილდოებლად კონფედერაცია შეიმუშავებს საზოგადო დადგენილებებს.

19. კონფედერაციის ჯარი შესდგება: а) თემის ჯარების კორპურსებიდგან, ბ) ყველა შვეიცარელებისაგან, რომელნიც თემის ჯარში არ ირიცხებიან და სამხედრო სამსახურიდგან არ არიან განთავისუფლებულნი.—ჯარის

მოხმარების უფლება და კანონმდებლობით აღიარებული სამხედრო ყოველი მატერიალური ქონება კონფედერაციას ეყუთვნის. როდესაც საშიში მდგომარეობაა, კონფედერაცია სარგებლობს შვეაცარის მცხოვრებლებით, რომელნიც არ ირიცხებიან ჯარში, და თემების სამხედრო მასალითა და ყოველ გვარი სხვა ღონისძიებით, დამოუკდებლად და განსაკრთრებული უფლებებით. თემები ხმარობენ შხოლოდ იმ სამხედრო ძალონეს, რომელსაც მათი ტერიტორია წარმოადგენს, და მასთან თანახმად იმ უფლებებისა, რომელნიც კონფედერაციის კანონმდებლობით განისაზღვრებიან,

20. ჯარის შესახებ კანონმდებლობას კონფედერა-

ისა ადგენს. სამხედრო კანონების აღსრულება თემში, კონფედერაციის კანონმდებლობით განსაზღრულ ფარგალში, თემის მართელობას აქვს დავალებული კონფედერაციის ზედამხედველობით. სამხედრო სწავლა-განათლება და ჯარის შეიარაღება კონფედერაციის მოვალეობას შეადგენს. სანოვაგის, ტანსაცმელის და სამხედრო ამანათების მიკემას თემი განაგებს, ხოლო, რაც დაეხარჯება თემს, კონფედერაცია გადაიხდის თანახმად იმ წესისა, რომელიც ფედერაციის კანონმდებლობით იქნება მიღებული.

21. თუ სამხედრო მოსაზრებანი არაფერს დაპრკოლებას არ წარმოადგენენ, სამხედრო კორპუსები უნდა შესდგნენ იმ ჯარისაგან, რომელიც ერთ და იგივე თემს ეკუთვნის. კორპუსების შედგენა, მათი შენახვა, აფიც-რების დანიშვნა და მათი სამსახურის წარმატება თემზეა დამოკიდებული, თანახმად იმ პირობებისა, რომელსაც კონფედერაცია შეიმუშავებს.

22. კონფედერაციას აქვს უფლება სამხედრო ყველა მოედნები (პლაცი) და შენობები, რომელიც კი იქნება თემში და საჭიროა ჯარისათვის, გამოართოს თემს ღირებული ფასის გარდახდით, იჯარით ან საკუთრებად. გამოსყიდვის პირობები ფედერაციის კანონმდებლობით იქმნება დადგენილი.

23. კონფედერაციას შეუძლიან თავის საკუთარი ხარჯით ან ხარჯში მიღომით აასრულოს მთელი შვეიცარიის ან მის დიდი რომელიმე ნაწილის სასარგებლოდ სხვა და სხვა გვარ საზოგადო სამუშაო. ამ განძრახვითკონ-

ფედერაციას შეუძლიან მოახდინოს ეკსპროპრიაცია, ხოლო სინდისიერი ფასის გარდახდით. დაწვრილებით დადგენილებანი ამ კითხვის შესახებ ფედერაციის კანონმდებლობით იქმნებიან შემუშავებულნი. კავშირის კრებულს შეუძლიან აკრძალოს საზოგადო შენობების ამყვანა, თუ ეს შენობება კონფედერაციის სამხედრო ინტერესის საწინააღმდეგონი იქმნებიან.

24. კონფედერაცია უმაღლესად ზედამხედველობს პოლიციაზე წყლების გასამავრებელ პლატინების გამართვაში და მთიან აღგილებზე ტყეების შენახვაში. იგი ზედამხედველობს მდინარე წყლების დარუებას, დაგუბებას და ამ წყლების სათავეებში ტყის გაშენებას. იგი შეიმუშავებს ზომებს ამ საჭაროებისათვის გაკეთებულ შენობების მოსავლელად და უკვე არსებული ტყეების დასაცველად.

25. კონფედერაციას აქვს უფლება შეიმუშაოს საკანონმდებულო დადგენილებანი თუმცის დაჭერისა და ნაღირობის გაწესრიგების შესახებ უფრო იმ აზრით, რომ არ ამოსწყდეს მსხვილი ნაღირი და მეურნეობისათვის და ტყეების გასაშენებლად სასარგებლო ფრინველი.

26 რკინის გზების გაყვანისა და მოხმარების შესახებ კანონების გამოცემა კონფედერაციის უფლებას შეადგენს.

27 კონფედერაციას აქვს უფლება, აწ არსებული პოლიტეხნიკური სკოლის გარდა, უნივერსტეტები და მაღალი სხვა სასწავლებლები დაარსოს ან დაეხმაროს მა-

ტერიალურად მათ დაარსებას და შენახვას. თემები მოვალენი არიან იზრუნონ ხალხის დასაწყის სწავლა-განათლებაზედ, იქონიონ ამისათვის რიცხვით საკმარისი სკოლები და საზოგადო სკოლებში სწავლა უფასო. საზოგადო სკოლებში უნდა ყველა მორწმუნეთ შეეძლოთ სიარული და მასთან ისე, რომ არავისი სინიდისი და მორწმუნეობა არ ილახებოდეს. კონფედერაცია მიიღებს ზომებს იმ თემების წინააღმდეგ, რომელნიც ამ მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებენ.

28. სავაჭრო საქონელზედ ბაჟის დადება კონფედერაციაზეა დამოკიდებული: მას შეუძლიან დაადოს ბაჟი როგორადაც საზღვარ გარედ გამავალ საქონელს, აგრედვე საზღვარ გარეთიდამ შემოტანილს.

29. საფედერაციო ბაჟი დაედება შემდეგი პრინციპების თანახმად: 1. ბაჟი შემოსულ საქონელზე: а) მრეწველობისა და მეურნეობისათვის საჭირო საქონელი დაიბაჟება უმცირესი გარდასახადით, б) იგივე პრინციპით იხელმძღვანელება ცხოველების პირველ საჭიროებად ცნობილ სანოვაგეს დაბაჟვაში. ხოლო საფუფუნებელ საგნებს (предметы роскоши) ბაჟი უდიდესი დაედება, თუ საფუძვლიანი რამ მიზეზი არ დაუშლის; იგივე პრინციპებით ხელმძღვანელობენ გარეშე სახელმწიფოებთან სავაჭრო პირობების შეკვრაში; 2. საზღვარ გარედ გამავალ საქონელზედ ბაჟი რაც შეიძლება მცირედი უნდა დაიდოს; 3. საბაჟო კანონმდებლობა არ უნდა აპროკლებდეს არც გარეშე ვაჭრობას და არც შინაურს. კონფედერაციას აქვს სრული უფლება, მიუხედავად ჩამოთვლილი პრინციპებისა, განსაკუთრებულ შემთხვევაში განსაკუთრებული ზომები მიიღოს დროებით.

30. ბაჟის შემოსავალი კონფედერაციას ეკუთვნის. ბაჟის შემოსავალის ნარდად გაცემა, საგზაო და სახიდო გარდასახადის გასყიდვა და ყოველგვარი საბაჟო სხვა გარდასახადები, რაც აქამომდე თემებში იყო, უნდა მოისპოს. თემები ური, გრაუბიუნდენი, ტესსინი და ვალისი, რადგან მათ საზღვრებში საერთაშორის აღპის გზა დევს, მიიღებენ ყოველწლიურ დახმარებას, რომლის რაოდენობა მათ განსაკუთრებული მდებიარობითა და ყველა სხვა გარემოებათა მიხედვით განისაზღვრება ასე: ური—80,000, გრაუბიუნდენი—200,000, ტესსინი—200,000, ვალისი—50,000. გარდა ამისა ს. გოტარდის გზის თოვლისაგან გაწმენდაში თემები ური და ტესსინი ზედ-მეტ დახმარებას მიიღებენ ყოველწლივ 40,000, ვიდრე ამ გზის სამაგიეროდ რკინის გზა გაკეთდება.

31. თავისუფალი მრეწველობა და ვაჭრობა უზრუნველყოფილია კონფედერაციის მთელს ტერიტორიაზე. არ მოისპობა: а) თოფისწამლისა და მარილის რეგალია, საფედერაციო ბაჟი, ბაჟი გარეშე ქვეყნებიდგან მოტანილ ღვინოზე და სხვა სპირტეულობაზე და აგრედვე ბაჟი სხვა სანოვაგიებზე, თანახმად 32-ის სტატუტისა; в) სანიტარული ზომები წინააღმდეგ ხალხისა და პირუტყვი საქონლის ჭირიანობისა; с) წესები ვაჭრობისა და მრეწველობის შესახებ, მათ შესახები გარდასახადები და გზების ზედამხედველი პოლიცია. ამ წესებში თავისუფალი მრეწველობის და ვაჭრობის პრინციპის წინააღმდეგი არა უნდა იყის რა.

32. თემს აქვს უფლება, თანახმად სტ. 31, ბაჟი დაადოს ღვინოს და სხვა სპირტეულ სასმელებს, ხოლო შემ-

დეგი პირობებით: а) ბაჟი არსაიდგან არ უნდა აპრკო-
ლებდეს ამ საქონლის თემში შეტანას; იმ ვაჭრობას,
რომელიც ყველა სხვა ტაკციიდგან განთავისუფლებუ-
ლია, უნდა რაც შეიძლება მცირედი გარდასახადი დაე-
დოს; в) თუ თემში შეტანილი საქონელი თემიდგან
ისევ გარედ ბრუნდება, უნდა უკვე გარდახდილი ბაჟიც
უკან დაებრუნოს და მასთან არცარა სხვა გარდასახადი
არ უნდა დაედოს ამ საქონელს; с) ბაჟი შვეიცარიის
ნაწარმოებ საქონელზედ უფრო მცირედი უნდა იყოს,
ვინემ გარეშე ქვეყნის ნაწარმოებზედ; დ) იმ თემს,
რომელიც შვეიცარიაში მომზადებულ ლვინოებზედ და
სხვა სპირტეულ სასმელებზე თემში შეტანის ბაჟს დღე-
საც ახდევინებს, იმაზედ მეტი ბაჟის დადება, რაც ეხლა
არის, არ შეუძლიან; თემში, საღაც ეს ბაჟი დღეს არ
არსებობს, არც შემოღება შეიძლება; е) თემის საბაჟო
ყველა კანონები და დადგენილებანი თემში შემავალი
საქონლის შესახებ, ვიდრე მოქმედებას დაიწყებდნენ,
ფედერაციის მართველობის წინაშე უნდა იქმნენ წარდ-
გენილნი დასამტკიცებლად, რათა ამ მართველობას შეე-
ძლოს მათი აღსრულების დავალება, როცა საჭირო
იქმნება. ყოველი ბაჟი, რომელსაც იღებს თემი ან საზო-
გადოება საქონლის თემში შეტანაზე, უნდა გაუქმდეს
1890 წლის დამლევამდე უნაზღაუროდ.

33. თემს აქვს უფლება მოსთხოვოს იმ პირთ,
რომელთაც თავისუფალი პროფესიით მოქმედება ჰსურთ,
დამამტკიცებელი საბუთი, რომ მათ ამ მოქმედებისათვის
საქმარისი ძალ-ლონეც შესწევთ. ამ პირთ ამ საგნის შე-
სახებ ფედერაციის მართველობისაგან შეუძლიანთ მიი-

ლონ ისეთი მოწმობა, რომელსაც ძალა მთელს კონფედერაციაში ექმნება.

34. კონფედერაციას აქვს უფლება შეიმუშაოს სავალდებულო საზოგადო დადგენილებანი ფაბრიკებში მცირეწლოვანთა მუშაობის შესახებ, რამდენ საათს უნდა მუშაობდნენ დღეში სრული წლოვანი მუშები და აგრედვე რა გასაფრთხილებელი ზომები უნდა იყოს მუშებისათვის მიღებული იქ, სადაც ავადიანი ან საშიში სამუშაო არის. გადასახლების და დაზღვევის შესახები ყველა ოპერაციები, რომელნიც არ არიან დაკანონებულნი, ფედერაციის ზედამხედველობას ემორჩილებიან.

35. სპეციალური თამაშისათვის სახლების დაარსება აკრძალულია (игорные дома). რომელნიც არსებობენ, უნდა დაკეტილ იქმნენ 31 დეკ. 1877 წლისა. 1871 წლის დაწყებიდგან რაც ახალი კონსცესიებია გაცემული ამ საგნის შესახებ ან ძველია განახლებული, ეხლავე გაუქმებულად ითვლებიან. კონფედერაციას შეუძლიან მიიღოს ზომები ლოტარეის შესახებაც.

36. მთელს შვეიცარიაში ფოშტა-ტელეგრაფი საფედერაციო საკუთრებას შეადგენს. ფოშტა-ტელეგრაფის შემოსავალი საფედერაციო კასსას ეკუთვნის. შვეიცარიის ყველა კუთხეში შეძლებისა და გვარად ფოშტისა და ტელეგრაფის ტარიფი ერთნაირი უნდა იყოს. ფოშტისა და ტელეგრაფის კორრესპონდენციის ხელშეუხებლობა უზრუნველყოფილია.

37. კონფედერაციას ეკუთვნის მთავარი ზედამხედვე-

ლობა იმ გზებისა და ხიდების, რომელთ დაცვა-შენახვას მისი ინტერესი თხოულობს. ფედერაციის მართველობა არ მისცემს თემებს ხვედრ ფულს, რომელიც მათ აღპის გზების შენახვაში ეძლევათ, თუ გზები წესიერად არ ინახება.

38. ყოველი უფლება, რაც ფულის რეგალიას შეეხება, კონფედერაციას ეკუსვნის. ფულის გამოცემა მარტო მას შეუძლიან. იგი ამტკიცებს, როგორი უნდა იყოს ფული, მასვე შეუძლიან, როცა საჭირო იქნება, გამოსცეს ფასდებულება (ტარიფიკაცია) გარეშე ქვეყნების ფულებზედ.

39. კონფედერაციას იმავე გზით, რა გზითაც კანონები გამოიცემიან, უფლება აქვს გამოსცეს საზოგადო დადგენილებანი ბანკის ბილეთებისა და მათი გამოსყიდვის შესახებ. ხოლო რაიმე მონოპოლიის დაარსება ბანკის ბილეთების გამოცემის შესახებ, არც ამ ბილეთების მიღების შესახებ ძალდატანება მას არ შეუძლიან.

40. კონფედერაცია ამტკიცებს ზომისა და წონის სისტემას. თემები ყველა კანონდებულებას ამ საგნის შესახებ კონფედერაციის ზედამხედველობით ასრულებენ.

41. თოფის წამლის მომზადება და გასყიდვა მთელს შვეიცარიაში კონფედერეციის განსაკუთრებულ უფლებას შეადგენს. მაღნეულობაში სახმარი ასაფერები მასალა, რომელიც სასროლად არ ვარგა, თოფის წამლის რეგალიაში არ ითვლება.

42. კონფედერაციის ხარჯი დაიფარება: a) საფედე-

რაციო კუთვნილებათა შემოსავლით, ბ) საფედერაციო ბაჟის შემოსავლით, რომელიც გარდაიხდება შვეიცარიის საზღვრებზე; გ) ფოშტა-ტელეგრაფის შემოსავლით, დ) თოფის წამლის რეგალიის შემოსავლით, ე) იმ შემოსავლის ნახევრით, რომელსაც ახდევინებენ თემები სამხედრო სამსახურიდგან განთავისუფლებაში, ფ) იმ შემოსავლით, რომელიც თემებს გარდახდებათ მათი შეძლებისა და გვარად, თანახმად ფედერაციის კანონმდებლობისა.

43. თემის ყოველი მოქალაქე ანუ წევრი საზოგადოებისა, შვეიცარიის მოქალაქეა. როგორადაც ესეთს, მას შეუძლიან ყველა არჩევნებში და საფედერაციო საქმეების გარდაწყვეტაში მონაწილეობა მიიღოს იქ, სადაც ბინადრობს, თუ არსებული წესის თანახმად დაამტკიცებს თავის საარჩევნო უფლებებს. არავის არ შეუძლიან ისარგებლოს თავისი პოლიტიკური უფლებებით ერთ თემზე მეტგან. შვეიცარელი იქ, სადაც ბინადრობს, სარგებლობს იმ უფლებით, რომელიც მინიჭებული აქვს მის თემის მოქალაქეს (citoyens) და აგრედვე ყველა იმ უფლებებით, რომელიც საზოგადოების ყოველ წევრს (bourgeois) აქვს. უფლება საზოგადოების (bourgeoisie) და კორპორაციების ქონებაზე და აგრედვე უფლება ამ ქონებათა (bourgeoisiales) შესახებ საქმეების გარდაწყვეტაში მონაწილეობის მიღებისა ზემოხსენებულ უფლებებში არ შედის, თუ თემის კანონმდებლობა ამ კითხვის შესახებ სხვარიგად არ დაადგენს. შვეიცარელს თემისა და საზოგადოების საქმეებში მონაწილეობის მიღების უფლება ადგილობრივი ბინადრობის სამი თვის

შემდეგ ეძლევა. თემის კანონმდებლობა ბინადრობისა
და საარჩევნო უფლებების შესახებ კავშირის სათათბი-
როსაგან უნდა იყოს დამტკიცებული.

44. თემს არ შეუძლიან თავის ტეროიტორიიდგან
რომელიმე მოქალაქის განდევნა და არც საბინადრო
და სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევა. ფედერაციის
კანონმდებლობა შეიმუშავებს იმ სავალდებულო პირო-
ბებს, რომელთ თანახმად გარეშე ქვეყნელს შეეძლება
შვეიცარიის სრულუფლებიან მცხოვრებლად გახდეს, და
ან შვეიცარელმა თავის ეროვნება უარჲყოს და სხვა სა-
ხელმწიფოს ქვეყნებრდომობა მიიღოს*).

45. შვეიცარიის ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება
იცხოვოს შვეიცარიის ტერიტორიაზედ, სადაც სურს,
ხოლო უნდა წარმოადგინოს შემომავლობის მოწმობა
ან სხვა რომელიმე ამას თანაბარი დოკუმენტი. როგორა-
დაც ზოგადი შემთხვევა შვეიცარიაში დასახლების უფ-
ლება არ მიეცემა ან უკან ჩამოეროვა იმას, ვისაც სას-
ხლის სამართლით სამოქალაქო უფლებები ჩამორთმეული
აქვს. გარდა ამასა, შვეიცარიაში ბინადრობის უფლება
შეიძლება ჩამოერთვას იმას, ვინც რამდენჯერმე სამარ-
თლით დასჯილ იქმნება მძიმე დანაშაულობისათვის; იმას,
ვინც მუდამ საქველმოქმედო დახმარებას თხოულობს
საზოგადოებისაგან, და აგრედვე იმას, ვისაც დახმარება
არ აღმოაუჩინა საზოგადოებამ ან თემმა, რომელსაც
იგი ეკუკვნის, ამ დახმარების ოფიციალურად მოთხოვ-

*) ეს კანონი დადგენილია 3 მკათავეს 1876 წ.

ნის შემდეგაც კი. თემში, სადაც გაჭირებულთ ბინის მიცემის ეხმარებიან, ამავე თემის შვილს ბინადრობა უფლება იმ პირობით მიეცემა, თუ მუშაობა შეუძლიან და იქ, რა ადგილსაც წინად სცხოვრობდა სამშობლო თემში, საზოგადოების საქველმოქმედო დახმარებით არ გამოდიოდა მუდმივ. ყოველი გადასახლება სილარიბისა გამო ჯერ დამტკიცებული უნდა იქმნას იმ თემის მართველობისაგან, საიდანაც გარდასახლება უნდათ, და შემდეგ ეს გარდაწყვეტილება უნდა ეცნობოს იმ თემის მართველობას, სადაც გადასასახლებელი შობილა. თემი, რომელსაც აირჩივს შვეიცარელი თავის საბინადროდ, ვერც თავდებებს მოსთხოვს ამ პირს და ვერც რამე განსაკუთრებულ გარდასახადს დაადებს მას დაბინავეპაში. აგრედვე არც ერთ საზოგადოებას არ შეუძლიან რამე გარდასახადი დაადოს შვეიცარელს, რომელიც ისურვებს ამ საზოგადოების ტერიტორიაზედ დასახლებას, გარდა იმ გარდასახადისა, რომელიც ყველა იქაურ მცხოვრებელს აღევს. ფედერაციის კანონმდებლობა დაადგენს საკანცელარიო maximum გარდასახადს დასახლების ნებართვის გამოტანაში.

46. რაც შეეხება სამოქალაქო უფლებებით სარგებლობას, ამ მხრივ შვეიცარიის ყოველი მცხოვრებელი ემორჩილება იმ იურისდიქციის და კანონმდებლობას, რომელნიც მოქმედობენ იქ, სადაც სცხოვრობს. ფედერაციის კანონმდებლობა შეიმუშავებს ამ პრინციპების განმახორციელებელ დადგენილებებს, რათა დამყარდეს ისეთი წეს-რიგი, რომ არც ერთ მოქალაქეს გაწერილი ხარჯი ერთი-ორად არ შეეწეროს.

47. ფედერაციის კანონმდებლობა გამოარკვევს, რა განსხვავებაა საბინაღრო და დროებით საცხოვრებელ ადგილთა შორის, და შეიმუშავებს იმ წესებს, რომელსაც დაემორჩილებიან შვეიცარელები სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებების განხორციელებაში დროებით საცხოვრებელ ადგილებზე.

48. ფედერაციის კანონმდებლობა შეიმუშავებს საჭირო დადგენილებებს იმ ხარჯის ასადგენად, რაც დაიხარჯება თემის ღარიბ-ღატაკების მკურნალობაზე და დასაფლავებაზე, როდესაც ეს საწყალნი გახდებიან ავად ან გარდაიცვლებიან არა სამშობლო თემში.

49. თავისუფლება სინდისისისა და სარწმუნოებისა უზრუნველ ყოფილია. არავინ არ უნდა იყოს იძულებული რომელიმე სარწმუნოების საზოგადოებაში წევრად ჩაწერისა თავის სურვილის წინააღმდეგ, ან მისთვის არა სასურველ სარელიგიოზო სწავლა-განათლების მიღებისა, ან რომელიმე სარწმუნოების არა სასურველ წეს-რიგის შესრულებისა და არც რამენაირად დასჯილი თავისი მორწმუნოების გამო. მშობლებს ან პეკუნიებს, თანახმად ზემოდ მოყვანილი პრინციპისა, უფლება აქვთ ლხელმძღვანელონ თავიანთ ბავშვებს სარელიგიოზო სწავლა-განათლების მიღებაში, ვიდრე სრული 16 წლისანი გახდებიან. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით სარგებლობა სარელიგიოზო ნიადაგზე დამყარებული მოთხოვნილებით ანუ პირობებით არ უნდა მოწოდებოდეს. არავის არ შეუძლიან თავის სარიების მომიზეზებით თავი გაინთავისუფლოს სამო-

ქალაქო მოვალეობისაგან. სპეციალური გარდასახადი საჩელიგიოზო კულტის სახარჯოდ არ შეწერება იმას, ვინც ამ სარელიგიოზო დაწესებულებას არ ეკუთვნის. დაწვრილებითი განხორციელება ამ პრინციპისა ფედერაციის კანონმდებლობის მოვალეობას შეადგენს.

50. კულტთა მსახურება თავისუფალია იმდენად, რამდენადაც იგი არ ეწინააღმდეგება საზოგადოების წესრიგსა და კეთილმყოფელობას. თემებს და კონფედერაციას საჭიროებისა და გვარად შეუძლიანთ მიიღონ ისეთი ზომები, რომელნიც დაიცავენ საზოგადოებაში დამკვიდრებულ წესიერებას და სარელიგიოზო დაწესებულებების წევრთა შორის სრულ სიმშვიდეს, და აგრედვე უზრუნველ ჰყოფენ უფლებებს მთელი შვეიცარიისას და მის ყველა მცხოვრებლებისას სასულიერო წარმომადგენელთა არა-სასურველი გავლენისაგან. მოურიგებლობა საზოგადოებრივი უფლებების (право публичное) და ზოგადი უფლებების (право частное) შორის, რომელიც წარმოსდგება, როგორადაც შედეგი, სხვა და სხვა სარელიგიოზო დაწესებულების დაფუძნებით, ანუ მიზეზი ჩხეუბისა და განხეთქილებისა აწ არსებული სარელიგიზო დაწესებულებათა შორის შეიძლება წარედგინოს განსახილველად ფედერაციის კონპეტენტურ მართველობას. შვეიცარიის ტერიტორიაზედ არ შეიძლება საეპისკოპოსოს დაარსება კონფედერაციის ნებადაურთველად.

51. იეზუიტების ორდენს და საზოგადოებებს, რომელნიც ამ ორდენს ექვემდებარებიან, არ შეუძლიანთ ყოფნა შვეიცარიის არცერთ კუთხეში, მათ წევრების დაარსება კონფედერაციის ნებადაურთველად.

ბს აეკრძალებათ ყოველგვარი მონაწილეობა და მოქმედება შეეიცარის ეკლესიებში და სკოლებში. ესეთი აკრძალვა კონფედერაციის დადგენილებით შეიძლება გავრცელებული იქმნას სარელიგიოზო სხვა ორდენებზედაც, რომელთ მოქმედება კონფედერაციისათვის საშიშოდ იქნება ცნობილი, ან დამშვიდების მაგივრად, მორწმუნეთ ერთმანეთს გადაკიდებს.

52. აკრძალულია ახალი მონასტრების ან სარელიგიოზო ორდენების დაარსება და უკვე დაკეტილების აღდგენა.

53. მოქალაქეთა საქონებო უფლებები (права гражданского состояния) და მათი რეგისტრაცია სამოქალაქო მართველობის (гражданская власть) საზრუნველ საგანს შეადგენს. შემდეგში ფედერაციის მართველობა შეიმუშავებს ამ საგნის შესახებ დადგენილებებს. სასაფლაო ადგილების მოხმარებას განაგებს სამოქალაქო მართველობა. იგივე მართველობა ზრუნავს, რომ ყველა მიცვალებული წესიერად იმარხებოდეს.

54. ქორწინების უფლება კონფედერაციის მფარველობის ქვეშ არის. არავითარი დაპრკოლება არ უნდა ეძლეოდეს ქორწინებას არც სარელიგიოზო მოთხოვნილებებით, არც შესაუღლებელთა ერთის თუ მეორის სიღარიბით, არც მათი ყოფაქცევის მხრივ და არც საპოლიციო მოსაზრებებით, რა ხასიათისაც გინდა იყვნენ. მთელს კონფედერაციაში კანონიერად იცნობა ქორწინება, რომელიც მოხდა თემში ან საზღვარ გარედ, ხოლო

თანახმად თანამედროვე კანონმდებლობისა. დედაკაცს დაქორწინებით მიენიჭება დაბადებითი უფლება (Le droit de cite) და ქმრისაგან შეძენილი სამოქალაქო უფლებანი. შვილები, დაქორწინების წინად დაბადებულნი, მათ დედ-მამის დაქორწინების შემდეგ, კანონიერ შვილებად ირაცხებიან. არავითარი გარდასახადი არ დაედება არც ერთს და არც მეორე მხარეს ერთმანეთთან შეუღლების უფლების მოსაპოებლად.

55. ბეჭვდის თავისუფლება უზრუნველყოფილია. თემის კანონმდებლობა შეიმუშავებს ზომებს იმათ წინააღმდეგ, ვინც ამ თავისუფლაბას საბოროტოდ მოიხმარს. ზომები იგი დამტკიცებული უნდა იქმნენ კავშირის სათათბიროსაგან. კონფედერაციას აქვს ეგრეთივე უფლება, დაადგინოს სასჯელი მათვის, ვინც კონფედერაციის წინააღმდეგ ან წინააღმდეგ მის მართველობისა ბოროტმოქმედებას ჩაიდენს.

56 შვეიცარიის მცხოვრებელთ უფლება აქვთ შეადგინონ ამხანაგობანი (ассоциації), ხოლო ამ ამხანაგობათა მიზანი და მოქმედება არ უნდა იყოს კონფედერაციის საწინააღმდეგო, ან საშიში. თემების კანონმდებლობა შეიმუშავებს ზომებს ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

57. უფლება ყოველგვარი პეტიციებისა უზრუნველყოფილია.

58. ჩვეულებრივ სასამართლოში გასამართლების უფლება არავის არ ჩამოერთმევა. ამიტომ არ შეიძლება

იქმნენ დაარსებულნი არა-ჩვეულებრივი სასამართლოები. სასულიერო იურისდიქცია უარყოფილია.

59. პირადი პასუხისმგებლობაში პასუხის მგებელი, თუ იგი შვეიცარიის მობინადრეა და აქვს შეძლება უნდა მოწვეულ იქმნას თავის საბინადრო რაიონის სასამართლოში; რადგან მოპასუხე პირადად აგებს პასუხს, ამიტომ მას, თუ არ იმავე თემში, სხვაგან ქონება ვერც ჩამოერთმევა და ვერც შეეკვრება. რაც შეეხება გარეშე-ქვეყნელებს ისინი ემორჩილებიან გარეშე ქვეყნებთან შეთანხმების დებულებას. ვალის გადაუხდელობისა გამო მოვალის დატყვევება უარყოფილია.

60 კანონმდებლობისა და განსამართლების მხრივ ყოველი თემი ყოველ შვეიცარელ მოქალაქეს ისე უნდა უყურებდეს, როგორც თავის საკუთარ მოქალაქეს.

61 სასამართლოს საბოლოო სამოქალაქო გარდაწ-
ყვეტილება (оконч. гражд. судеб. рѣшеніе), რომელ
თემშიაც უნდა იყოს იგი მომხდარი, შვეიცარიის ყო-
ველ კუთხეში შეიძლება იქმნას სისრულეში მოყვანილი.

62 ბაჟი საქონლის გადატან-გადმოტანაზე შვეიცა-
რიის საზღვრებში უარყოფილია. უარყოფილია აგრედა-
თემების ერთიერთმანეთიდამ მოქალაქეთა გამოსყიდვა.

63. ბაჟი გარეშე ქვეყნებიდან შემოსულ საქონე-
ლზე, ამ ქვეყნებთან შეთანახმების და გვარად, ან კვ-
ლავაც დარჩება, ან მოისპობა.

64. კონფედერაცია მოვალეა გამოსცეს კანონდე-

ბულება შესახებ სამოქალაქო უფლებებისა, სავაჭრო უფლებებისა, შესახებ ურთი-ერთ შორის ქონებ-რიცი დამოკიდებულებისა (ნაკისრებითი უფლება—ამ უფლებაში შედის ვაჭრობის უფლებაც და ვექსელის უფლებაც), კანონები შესახებ სალიტერატურო და საარტისტო უფლებებისა და აგრედვე კანონები ვალის გარდახდევინებისა და გაკოტრების შესახები. სასამართლოების მოწყობა თემების ხელშია, ვიდრე ფედერაციის სასამარლოს მოთხოვნილებანი სავსებით სრულდებიან.

65. * (შეცვლილია ხალხის ხმის უმეტესობით 13 მაისს 1879 წ.). პოლიტიკური დამნაშავენი სიკვდილით არ შეიძლება იყვნენ დასჯილნი. ცემა-ტყეპა და სხვა ყოველგვარი სასჯელის მიყენება ადამიანის სხეულისადმი აკრძალულია.

66. ფედერაციის კანონმდებლობა განსაზღვრის, რა შემხთვევებში შეიძლება შვეიცარიის მოქალაქეს ჩამოერვთას პოლიტიკური უფლებები.

67. ფედერაციის კანონმდებლობა შესაძლოდ სცნობს დამნაშავეთა ერთი თემიდგან მეორეში გაცემას. პოლი-

*) წინად სტ. 65 იყო: „ სიკვდილით დასჯა უარყოფილია, ხოლო ომის დროს სისხლის სამართლის დადგენილებანი, თანახ-მად სამხედრო კანონმდებლობისა, კანონიერად ჩაითვლებიან. ცემა-ტყეპა და სხვა ყოველგვარი სასჯელის მიყენება ადამიანის სხე-ულისადმი უარყოფილია.“ პირველი ნაწილი ეხლანდელი კანონი-სა ისეთივეა, როგორც 1848 წლის კანონდებლობაში იყო. თემებს ისევ ეძლევათ უფლება, სიკვდილით დასჯა დაკანონონ ან უარ ჰყონ თავიანთ ტერიტორიაზე.

ტიკურ და მწერლობით ზამნაშავეთა შესახებ ესეთი გაცემა სავალდებულო არ არის.

68. ფედერაციის კანონმდებულობა მაწანწალითის მოსასპობლად შეიმუშავებს შესაფერ ზომებს.

69. კონფედერაციის კანონმდებლობაზეა დამოკიდებული სანიტარული პოლიციის დაარსება და ეპიდემიის და ეპიზოტიის საწინააღმდეგო ზომების შემუშავება.

70. კონფედერაციას აქვს უფლბა, განდევნოს შვეიცარიის ტერიტორიიდგან გარეშე ქვეყნელები, რომელნიც შვეიცარიის საშინაო და საგარეო საქმეებისათვის საშონი არიან.

თავი II. ფედერაციის მართველობა.

კავშირის კრებული

71. კონფედერაციაში მთავარი უფლება, იმ უფლებების გარდა, რომელნიც ხალხსა და თემებს აქვთ მინიჭებული, ეკუთვნის კავშირის კრებულს, რომელიც შესღება ორი სექციისაგან ანუ სათათბიროსაგან: A. ერის სათათბირო და B. თემთა სათათბირო (Conseil des Etats).

A. ერის სათათბირო.

72. ერის სათათბირო შესღება შვეიცარიის ხალხის წარმომადგენელთაგან, რომელნიც აირჩევიან იმ ანგარიშით, რომ თითო წარმომადგენელი ოცი ათას მცხოვრებელზე მოდიოდეს. საარჩევნო კუთხე, რომელში-

აც 20 ათასი მცხოვრებელი არ არის, ხოლო ათი ათა-
სზე კი მეტია, 20 ათასიანად ჩაითვლება. თითო თემი და,
სადაც თემი ორად არის გაყოფილი, თითო ნახევარ-თე-
მი, თუ მეტს არა, ერთ წარმონადგენელს მაინც ირჩევს.

73. ერის სათათბიროს შესადგენად ხალხის წარმომა-
დგენელთა არჩევანი პირდაპირია. არჩევანი ხდება ფედე-
რაციის საარჩევნო კრებებზე; საარჩევნო კრება არ შეი-
ძლება შესდგეს სხვა და სხვა თემების მცხოვრებელთა
ერთმანეთთან შეერთებით.

74. ხმისა და კენჭის მიცემა ყველა შვეიცარელს
შეუძლიან, თუ იგი სრული ოცის წლისაა ან მეტისა,
და თუ მის სამშობლო თემს ეს უფლება მისთვის არ
ჩამოურთმევია. ყოველ შემთხვევაში საფედერაციო კა-
ნონმდებლობა იზრუნავს, რომ საარჩევნო უფლებით ყვე-
ლა შვეიცარელებმა ერთნაირად ისარგებლონ.

75. ერის სათათბიროს წევრად შეიძლება არჩეულ
იქმნას ყოველი შვეიცარელი, რომელსაც აქვს საარჩევნო
ხმა და სამხედრო სამსახურში არ ითვლება.

76. ერის სათათბირო აირჩევა სამის წლის ვადით
და ვადაზედ ახალი წევრების არჩევით სავსებით განა-
ხლდება.

77. თემის სათათბიროს დეპუტატები, კავშირის
სათათბიროს წევრნი და აგრედვე ამ სათათბიროსაგან
დანიშნული სხვა და სხვა მოსამსახურე პირნი, ვიდრე

თავიანთ თანამდებობას ასრულებენ, ერის სათათბიროს წევრებად არ შეიძლება იყვნენ არჩეულნი.

78. ერის სათათბიროს წევრნი ყოველ ჩვეულებრივ და საგანგებო კრებებზე თავიანთ შორის ირჩევენ თავმჯდომარეს და მის ამხანაგს. თავმჯდომარედ არჩეული წევრი ერთ ჩვეულებრივ კრებაზედ, შემდეგ ჩვეულებური კრების არც თავმჯდომარედ და არც მის ამხანაგად აღარ აირჩევა. ორს ერთიერთმანეთზე მომდევნო კრებაზე სათათბიროს ერთი და იგივე წევრი კრების თავმჯდომარის ამხანაგად არ აირჩევა. როცა კრებაზე ხმა ორად უმეტნაკლებოდ გაიყოფა, კითხვას თავმჯდომარე გარდასწყვეტს; არჩევნების დროს თავმჯდომარე აძლევს ხმას, როგორადც კრების დანარჩენი წევრები.

79. ერის სათათბიროს წევრნი ჯამაგირს საფედერაციო კასსიდგან იღებენ.

B. თემთა სათათბირო.

80. თემთა სათათბირო შესდგება თემებიდგან გამოგზავნილი 44 დეპუტატისაგან. თითო თემი ორ დეპუტატს გზავნის; სადაც თემი ნახევარ-თემებად არის გაყოფილი, თითო ნახევარ-თემი თითო დეპუტატს გზავნის.

81. ერის სათათბიროსა და კავშირის სათათბიროს წევრების არჩევა თემთა სათათბიროს დეპუტატებად არ შეიძლება.

82. თემთა სათათბირო თავის წევრებთა შორის ირჩევს თავმჯდომარეს და მის ამხანაგს ყოველ ჩვეულებრივ და საგანგებო კრებებზე. თავმჯრომარე და მი-

სი ამხანაგი არ აირჩევიან იმ თემის დეპუტატებიდგან, რომელი თემის დეპუტატიც თავმჯდომარეობდა ამ კრების წინად მომხდარკრებაზე. ერთი და იგივე თემის დეპუტატი თავჯდომარის ამხანაგად არ შეძლ ება იყოს არჩეული არს ერთიერთმანეთზედ მომდევნო ჩვეულებრივ კრებაზე. როცა კრებაზე ხმა ორად უმეტნაკლებოდ გაიყოფა, გარდაწყვეტილებას თავჯდომარე ადგენს; არჩევნების დროს თავმჯდომარე ხმას აძლევს, როგორადც კრების დანარჩენი წევრები.

83. თემთა სათათბიროს დეპუტატები ჯამაგირს თავიან თ თემებიდგან მიიღებენ.

C. კავშირის კრებულის თანამდებობანი.

84. ერის სათათბირო და თემთა სათათბირო ყველა საქმეებში, რომელიც კი ამ კონსტიტუციით კონფედერაციას ეკუთვნიან და არ არიან გადაცემულნი ფედერაციის რომელიმე სხვა მართველობაზე, ერთმანეთს ეკითხებიან.

85. ორთავე სათათბიროს ექვემდებარება შემდეგი საქმეები: 1) კონონმდებლობა შესახებ ფედერაციის მართველობათა მოწესრიგებისა; 2) კანონები და დადგენილებანი ყველა იმ საქმეთა შესახებ რომელიც ამ კონსტიტუციით ფედერაციის კომპეტენციას შეადენენ; 3) ჯამაგირი და ყოველი სხვა ხარჯი კონფედერაციის მართველობისა და ფედერაციის კანცელარიისათვის, დანიშვნა ფედერაციის მუდმივი მოსამართლეებისა და მათი ჯამაგირებისა; 4) ამორჩევა და შედგე-

ნა კავშირის სათათბიროსი, ფედერაციის სასამართლოსი
და კონცელარიისა, აგრედვე ამორჩევა ფედერაციის
ჯარის მთავარი უფროსისა; ფედერაციის კანონმდებლო-
ბას შეუძლიან კავშირის კრებულს კიდევ სხვა უფლე-
ბებიც მიანიჭოს არჩევნებისა და დამტკიცების შესახებ; 5)
შეკავშირება და შეთანხმება გარეშე ქვეყნებთან და
დამტკიცება თემების ურთიერთ შორის და გარეშე
ქვეყნებთან პირშეკრულობებისა; ამგვარი პირშეკრულობ-
ანი დასამტკიცებლად წარედგინებიან კავშირის კრებულს
მხოლოდ მაშინ, როცა ამას მოითხოვს ან კავშირის სა-
თათბირო და ან რომელიმე სხვა თემი; 6) დაცვა შვეი-
ცარიის მთლიანობისა და დამოუკიდებლობისა. და
აგრედვე შვეიცარიის ნეიტრალიტეტისა; გამოცხადება
ომისა და ზავის ჩამოვდება; 7) კონსტიტუციის დაცვა
და თემების ტერიტორიების დაცვა; როგორადაც შედე-
გი ამ თანამდებობისა, ჩარევა გარეშე ქვეყნებთა საქმეე-
ბში; შვეიცარიის საზღვრებში წესრიგის და მშვიდობია-
ნობის დაცვა; ამნისტია და უფლება პატივებისა; 8) შე-
მუშავება ისეთი ზომების, რომელნიც იძულებულ გახ-
დიან საფედერაციო კონსტიტუციისადმი პატივით მოპყრო-
ბას და თემების კონსტიტუციებს უზრუნველ ჰყოფენ,
და აგრედვე შემუშავება ზომების, რომელთაც მიზნად
ფედერაციას დავალებათა ასრულება ექმნებათ; 9) უფ-
ლება საფედერაციო ჯარის მოხმარებისა; 10) ყოველ-
წლიური ბიუდეჯეტის შედგენა, დამტკიცება კონფედე-
რაციის ანგარიშებისა და სესხის აღებ-მიცემის ნების
დართვა; 11) უმაღლესი ზედამხედველობა ფედერაციის
მართვა-გამგეობაზე და სასამართლოებზე; 12) გასამარ-
თლება აღმინისტრაციის სხვა და სხვა დაწესებულებათა-

გან წარმოდგენილ საჩივრებისა, რომელთაც საგნად კავ-შირის სათათბიროს მიერ დადგენილებათა დაუკმაყოფი-ლებლობა აქვთ (სტ. 113); 13) უთანხმოება ფედერა-ციის მართველობათა შორის, გამოწვეული მათი კონ-პეტენციების გაუგებრობით; 14) საფედერაციო კონსტი-ტუციის შეცვლა.

86. ორივე სათათბირო ერთად იკრიფება ჩვეულებ-რივ კრებაზე წელიწადში ერთხელ. შეკრების დღე რეგლა-მენტით ინიშნება. საგანგებო კრებას კავშირის სათათბირო მოიწვევს ან ერთ-ერთი სათათბიროს ერთი მეოთხედი წე-ვრების მოთხოვნით, ან ხუთი თემის მოთხოვნით.

87. შეერთებული კრება ანუ კავშირის კრებული კანონიერია, თუ კრებას ნახევარზე მეტი დეპუტატები დაესწრნენ.

88. ერის სათათბიროს და თემთა სათათბიროს კრებებზე კითხვების გარდაწყვეტა დამსწრე წევრთა ხმის უმეტესობით ხდება.

89. ფედერაციის კანონები, დეკრეტები და დად-გენილებანი გამოიცემიან ორივე სათათბიროს თანხმო-ბით. საფედერაციო კანონები წარედგინებიან ხალხის წი-ნაშე დასამტკიცებლად ან გასაუქმებლად, როდესაც ამ წა-რდენას მოითხოვს ან 30,000 სრულუფლებიანი შვეი-ცარიის მოქალაქე, ან რვა თემი. ამავე წესით ხდება სა-ზოგადო ხასიათის გარდაწყვეტილებათა შილება, როდე-საც ამ გარდაწყვეტილებათა სისრულეში მოყვანა საშუ-რი არ არის.

90. ფედერაციის კანონმდებლობა შეიმუშავებს წეს-რიგს სახალხო არჩევნების და გარდაწყვეტილებათა მოხდენის შესახებ.

91. ხმის ჩამოტარების დროს, ორივე სათათბიროს წევრნი თავიანთი ხმის მისაცემად არავითარ ინსტრუქციას არ საჭიროებენ.

92. ერის სათათბირო და თემთა სათათბირო ცალკე-ცალკე თათბირობენ; ხოლო, როდესაც არჩევნებია (სტ. 85 §14), ან საქმე პატიებას შეეხება, ან და საჩივარია (სტ. 85 §13) გასარჩევი, ორივე სათათბირო ერთად იკრიფება და ერის სათათბიროს თავმჯდომარის თავმჯდომარეობით, დამსწრე წევრთა ხმის უმეტესობით, ადგენს გარდაწყვეტილებას.

93. ინიციატივის უფლება აქვთ როგორადაც თვითეულ, ამ ორთა შორის, სათათბიროს. აგრედვე ორივე სათათბიროს თვითეულს წევრს. თემებს შეუძლიანთ ის-არგებლონ ამავე უფლებით წერილობითი განცხადების გამოგზავნით.

94. სათათბიროს კრებაზე დასწრება წესით ყველა გარეშე პირს შეუძლიან.

II. კუშირის სათათბირო

95. კონფედერაციის ში მართვა-გამგეობის უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოდ ითვლება კავშირის სათათბირო, შემდგარი შვილის წევრისაგან.

96. კავშირის სათათბიროს წევრებს არჩევს კავშირის კრებული სამის წლის ვადით მთელი შევიცარის მოქალაქეთაგან, რომელთაც აქვთ ერის სათათბიროში წარმომადგენლობის უფლება, ხოლო ერთი და იგივე თემიდგან ერთზე მეტი წევრი არ აირჩევა კავშირის სათათბიროში. სამს წლამდე თუ რომელიმე წევრი გამოვიდა, კავშირის კრებული პირველსავე თავის კრებაზე არჩევს გამოსული წევრის მოადგილეს დანარჩენის ვადით.

97. კავშირის სათათბიროს წევრთ, ვიდრე თავის თანამდებობას ასრულებენ, კონფედერაციის ან თემის სხვა რაიმე თანამდებობის მიღება, არც რაიმე სხვა საქმის აღება და ან სხვა პროფესიით მოქმედება არ შეუძლიანთ.

98. კავშირის სათათბიროში თავმჯდომარეობს კონფედერაციის თავმჯდომარე, მას ჰყავს თავისი ამხანაგი. კონფედერაციის თავმჯდომარეს და თავმჯდომარის ამხანაგს კავშირის კრებული ნიშნავს ერთის წლის ვადით თავის წევრებიდგან. თავმჯდომარე შემდეგი მეორე წლისათვის აღარც თავმჯდომარედ აირჩევა და არც მის ამხანაგად. ერთ და იგივე წევრის არჩევა თავმჯდომარის ამხანაგად ზედიზედ ორის წლის განმავლობაში არ შეიძლება.

99. კონფედერაციის თავმჯდომარე და კავშირის სათათბიროს დანარჩენი წევრები ჯამაგირს საფეხურაციო კასსიდგან იღებენ.

100. კავშირის სათათბირო ვერ შეუდგება საქმეების

გარდაწყვეტას, თუ კრებაზე ოთხზე ნაკლები წევრია მოსული.

101. კავშირის სათათბიროს წევრებს აქვთ უფლება კავშირის კრებულის ორივე სექციებზე დაესწრნენ, მისცუნ რჩევა და წარადგინონ კავშირის სათათბიროს საქმეთა შესახება წინადადებანი.

102 ამ კონსტიტუციით განისაზღვრებიან სათათბიროს შემდეგი თანამდებობანი და მოვალეობანი: 1) იგი ასრულებს კონფედერაციის კანონმდებლობისა და დადგენილებისა თანახმად საფედერაციო საქმეებს; 2) იგი ზედამხედველობს კონსტიტუციის დაცვა-შენახვას, კონფედერაციის კანონმდებლობისა და დადგენილებების ასრულებას, და თემების დადგენილებათა განხორციელებას; საჭირო შემთხვევაში მიმართავს ძალის დამტანებელ ზომებს, რათა ყოველი კანონიერი მოთხოვნილება წესიერად იქმნეს ასრულებული, თუ იგი შემთხვევა წესმოვალეობის დარღვევისა ფედერაციის სასამართლოში გარდასაცემი არ არის, თანხმად სტ. 113.; 3) იგი ზრუნავს თემთა კონსტიტუციების შეურყევლობაზე; 4) იგი წარადგენს კანონებისა და დადგენილებების პროექტებს კავშირის კრებულშა დასამტკიცებლად და აცხადებს სათათბიროებებისაგან და თემებისაგან წარმოდგენილ წინაღადებებზე თავის აზრს; 5) იგი ვანაგებს ფედერაციის სასამართლოს დადგენილებების, თემებისაგან არჩეულ მედიატორებთა გარდაწყვეტილებების და ურთიერთ შორის კერძო პირშეკრულებების აღსრულებას; 6) იგი ნიშნავს იმ მოსამსახურების პირთ, რომელთ დანიშვნა არც კავშირის კრებულს, არც ფედერაციის სასამართლოს და არც

რომელიმე სხვა დაწესებულებას არა აქვს მინდობილი; 7) იგი გაშინჯავს თემთა ურთიერთ შორის პირობა-შეკრულებას და, თუ საჭიროა, ამტკიცებს, თანახმად სტ. 85 სტ. 85; 8) იგი ზრუნავს ყველა იმ გარეშე საქმეებზე, რომელნიც კონფედერაციის ინტერესებს ეხებიან, ნამეტნავად სახელმწიფოებთა ურთიერთ შორის საზოგადო დამოკიდებულობაზე და კონფედერაციის მათთან კეთილგანწყობილობაზე; 9) იგი ზრუნავს შვეიცარიის გარეშე ქვეყნებიდგან დამოუკიდებელ პოლიტიკურ თავისუფლების და მისი ნეიტრალიტეტის დაცვა-შენახვაზე; 10) იგი უზრუნველ ჰყოფს კონფედერაციის შინაურს პოლიტიკურ შეურყევლობას და ზრუნავს სიმშვიდისა და წეს-რიგის დაცვა-შენახვაზე; 11) საშურო შემთხვევაში, თუ რამ საჭიროება მოითხოვს, და კავშირის კრებული შეკრებილი არ არის, კავშირის სათათბიროს უფლება აქვს ჯარი შეაგროვოს, რამდენიც საჭირო იქნება, ამოქმედოს ეს ჯარი, და იმ შემთხვევაში, თუ შეკრებილი ჯარი ორი ათას კაცს აღემატება, ან მისი მოქმედება სამ კვირაზე მეტს გასტანს, დაუყონებლივ მოიწვიოს კავშირის კრებული; 12) კავშირის სათათბიროზეა მინდობილი ყველა ის, რაც ფედერაციის სამხედრო საქმეს შეეხება და აგრედვე კონფედერაციის ყოველი სხვა სამართველო საქმეები; 13) იგი განიხილავს მის მიერ დასამტკიცებელ თემთა კანონებსა და უქაზებს, ზედამხედველობს თემების სამართველო ყველა დაწესებულებაზე, რომელიც მის კონტროლის ქვეშ არის; 14) იგი განაგებს კონფედერაციის საფინანსო საქმეებს, შეაღგენს ბიუდჟეტს და წარმოადგენს შემოსავალ-გასავლის ან-გარიშს; 15) იგი ზედამხედველობს ფედერაციის საად-

მინისტრაციო დაწესებულებაში მოსამსახურე პირთა მოვალეობის წესიერ ასრულებაზე; 16) იგი წარუდგენს ანგარიშს თავის მოქმედებისას კავშირის კრებულს; მის ყოველ ჩვეულებრივ კრებას (სესიია) მოახსენებს კონფედერაციის შინაურსა და გარეშე საქმეების მდგომარეობას და ისეთი ზომების მიღებას, რომელნიც მის შეხედულებით საჭირონი არიან საერთო კეთილდღეობისათვის; იგი ამზადებს სპეციალურ მოხსენებებს კავშირის კრებულის ანუ მის ერთ-ერთი სექციის მოთხოვნით.

103. კავშირის სათათათბიროს საქმეები დაიყოფიან რამდენიმე დეპარტამენტებად და განაწილდებიან წევრების შორის; ეს განაწილება ხდება მხოლოდ იმ მიზნით, რომ ყველა საქმეთა გარჩევა და წარმოება გაადვილდეს; ყველა დადგენილებანი გამოიცემიან სათათბიროს სახელით, როგორადაც ერთი განუყოფელი მართველობისა.

104. კავშირის სათათბიროს და მის დეპარტამენტებს უფლება აქვთ მოიწვიონ ეკსპერტის სპეციალური კითხვების გარდასაწყვეტად.

III ფედერაციის კანცელარია.

105. ფედერაციის კანცელარია, კონფედერაციის კანცლერის გამგებლობით, ასრულებს კავშირის კრებულისა და კავშირის ყველა საკანცელარიო სათათბიროს საქმეებს. კავშირის კანცლერს ნიშნავს კავშირის კრებული სათათბიროს წევრებთან ერთად, სამის წლის ვადით. საფედერაციო კანცელარიას განსაკუთრებით კავშირის სათათბირო ზედამხედველობს. ფედერაციის კანონმდებ-

ლობა შეიმუშავებს, რაც კანცელარიის მოწესრიგებას შეეხება.

IV ფედერაციის სასამართლო.

106. ფედერაციის საქმეების გასამართლება ფედერაციის სასამართლოს ხელთ არის. ამ სასამართლოს გარდა კონფედერაციაში სწარმოებს ნაფიც-მსაჯულთა სამართალი, რომელიც განიხილავს სისხლის სამართლის საქმეებს (სტ. 112).

107. ფედერაციის სასამართლოს წევრებს და მათ მოადგილებს ნიშნავს კავშირის კრებული; ფედერაციის სასამართლოსათვის სამივე ეროვნების ენა სავალდებულოა. კონფედერაციის კანონმდებლობა გარდასწყვეტს, როგორ უნდა მოეწყოს ფედერაციის სასამართლო და მათ განყოფილებები, რამდენი წევრი და რამდენი მათ მოადგილე უნდა იყოს არჩეული, რამდენი ხანი უნდა იმსახურონ და რამდენი უნდა ჰქონდეთ მათ ჯამაგირი.

108 ფედერაციის სასამართლოს წევრად შეიძლება იყოს დანიშნული შვეიცარიის ყოველი მოქალაქე, რომელსაც ერის სათათბიროს წევრობის უფლება აქვს. კავშირის კრებულის და კავშირის სათათბიროს წევრები და მოსამსახურე პირნი, ამ დაწესებულებებისგან დანიშნულნი, ვიდრე თავიანთ თანამდებობას ასრულებენ, ფედერაციის სასამართლოს წევრებად არ შეიძლება იყვნენ არჩეულნი. ფედერაციის სასამართლოს წევრებს, ვიდრე ეს წევრები თავიანთ თანამდებობას ასრულებენ,

არც სხვა თანამდებობის ან სამსახურის მიღება შეუძლიანთ
კონფედერაციაში ან თემში და ვერც სხვა მოვალეობას
ან სხვა პროფესიით მოქმედებას იკისრებენ.

109. ფედერაციის სასამართლოს აქვს თავის კანცე-
ლარია და თითონვე ნიშნავას ამ კანცელარიის პერსო-
ნალს.

110. ფედერაციის სასამართლო განიხილავს შემდეგ
საჩივრებს: 1) როდესაც კონფედერაცია და თემი ერთ-
მანეთს უჩივიან; 2) როდესაც კონფედერაციას უჩივიან
კორპორაციები ან კერძო პირები და მასთან საჩივრის
საგანს ფედერაციის კანონმდებლობით განსაზღვრული
მნიშვნელობა აქვს; 3) როდესაც თემები ჩივიან ერთმა-
ნეთზე; 4) როდესაც ერთის მხრით თემი და მეორეს
მხრით კორპორაციები ან კერძო პირები ჩივიან ერთმა-
ნეთზე, ხოლო იმ შემთხვევაში თუ, ერთ-ერთი მხარე
თხოულობს ამ საჩივრის გადატანას ფედერაციის სასა-
მართლოში და თუ საჩივრის საგანს ფედერაციის კა-
ნონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს. გა-
რდა ამისა ფედერაციის სასამართლო განიხილავს საჩი-
ვრებს მაწანწალაობის შესახებ, და აგრედვე საჩივრებს,
როდესაც თემის სხვა და სხვა საზოგადოებები უჩივიან
ერთმანეთს სამოქალაქო უფლებების შესახებ.

111. ფედერაციის სასამართლოს შეუძლინ სხვა
საჩივრებიც განიხილოს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ
მოჩივართა ორივე მხარე ისურვებს საჩივრის გადატანას
ამ სასამართლოში, და თუ საჩივრის საგანი ფედერაციის
კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობისა არის.

112. ფედერაციის სასამართლო ნაფიც-მსაჯულთა-
თანადასწრებით, რომელნიც საქმის შესახებ უტყუარი-
ფაქტების გამორკვევასა და წარმოყენებას შეეხებიან მხო-
ლოდ, განიხილავს სისხლის სამართლის შემდეგ საქმეებს:
1) კონფედერაციის წინაშე მოღალატებას და ამბოხე-
ბას, ან ძალმომრეობას ფედერაციის მართველობათა წი-
ნააღმდეგ; 2) საერთაშორისო უფლების (международное
право) წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულობას და საქცი-
ელს; 3) დანაშაულობას და საქციელს პილიტიკურ ნია-
დაგზე, რომელნიც საზოგადო წეს რიგს იმდენად არღვევენ,
რომ ფედერაციის შეიარაღებულ მოქმედებას გამოიწვევენ
საწინააღმდეგოდ; 4) დანაშაულობას მოსამსახურე პირთა
მათდამი მინიჭებული თანამდებობის ასრულების ნია-
დაგზე, თუ დაწესებულება, რომელმაც ეს პირები და-
ნიშნა, მათ საქციელს ფედერაციის სასამართლოს გარ-
დასცემს განსახილველად.

113. ფედერაციის სასამართლო განიხილავს აგრე-
დვე შემდეგ საქმეებს: 1) კონფლიკტს გამოწვეულს სა-
ფედერაციო და სათემო დაწესებულებათა ურთიერთ შო-
რის, მათდამი მინიჭებული კომპეტენციის ნიადაგზე; 2) სა-
ჩივრებს, გამოწვეულთ თემების ურთიერთ შორის საზო-
გადოებრივი უფლების (публичное право) შესახებს; 3)
საჩივრებს მოქალაქეების იმ უფლებების დარღვევის
შესახებ, რომელთაც კუნსტიტუცია მიანიჭებს მათ; აგ-
რედვე კერძო პირების საჩივრებს, გამოწვეულთ პირო-
ბა-შეკრულობის და კონკორდატების დარღვევით. ამ
გვარ საქმეებში არ შედის ადმინისტრაციის წარმო-
მადგენელთა შორის ჩეუბისა და მოურიგებლობის გასა-

მართლება, რომელთაც ფედერაციის კანონმდებლობა არჩევს. ყველა ზემოხსენებულ შემთხვევაში კონფედერაციის სასამართლო ხელმძღვანელობს კავშირის კრებულისაგან შემუშავებული საზოგადო ხასიათის დადგენილებებით. ამას და გარდა ფედერაციის სასამართლოს ექმნება მხედველობაში მიღებული ყველა პირობა-შეკრულობა, რომელთაც კავშირის კრებული დაამტკიცებს.

114. მე-110, მე-112 და მე-113 სტატუტებში ხსენებული საქმეების გარდა, ფედერაციის კანონმდებლობას სხვა საქმეებიც შეუძლიან მიანდოს ფედერაციის სასამართლოს განსახილველად: მეტადრე, ისეთი საქმეები, რომელთაც მიზნად ექმნებათ სტ. 64 მოხსენებული უფლების და მოვალეობის ყველასათვის ერთნაირად განხორციელება.

V სხვა და სხვა დადგენილებანი

115. ფედერაციის კანონმდებლობა დაადგენს, სადუნდა იმყოფებოდნენ კონფედერაციის სამართველო დაწესებულებანი.

116. შვეიცარიაში სამივე ენა: ნემენცური, ფრანგული და იტალიანური კონფედერაციის სამშობლო ენებად ითვლებიან.

117. კონფედერაციის ყველა მოხელე პირნი პასუხს აგებენ თავიანთ სამსახურზე. ფედერაციის კანონმდებლობა შეიმუშავებს ყველაფერს, რაც ამ პასუხისმგებლობას შეეხება.

თავი III. პონსტიტუციის გადათვალიგრება

118. ფედერაციის კონსტიტუცია ყოველთვის შეიძლება იქმნას გადათვალიერებული.

119. კონსტიტუციის გადათვალიერება ხდება თანახმად ფედერაციის კანონმდებლობისა.

120. იმ შემთხვევაში, როდესაც კავშირის კრებულის ერთი სექცია კონსტიტუციის გადათვალიერების საჭიროებას აცხადებს და მეორე კი არ ეთანხმება მას, ან როდესაც გადათვალიერებას მოითხოვს 50,000 მოქალაქე, რომელთაც საარჩევნო ხმა აქვთ, უნდა მთელ შვეიცარიის ხალს ეკითხოს: მოხდეს ეს გადათვალიერება, თუ არა? თუ ხალხი ხმის უმეტესობით გადათვალიერებას გარდასწყვეტავს, კავშირის კრებულის ორივე სათაბიროს წევრები კონსტიტუციის გადასათვალიერებლად ხელახლად უნდა იქმნენ არჩეულნი.

121. გადათვალიერებული კონსტიტუცია დაკანონდება მაშინ, როცა შვეიცარიის ხალხი ხმის უმეტესობით დაამტკიცებს ყველა მიღებულ ცვლილებას და როცა იგივე ცვლილებანი მიღებული იქმნებიან თემების ხმის უმრავლესობითაც. თემების ხმის დათვლაში, ხმა ნახევარ-თვემისა ნახევარ ხმად ითვლება. თემის ხალხის უმრავლესობის გარდწყვეტილება თემის ხმად მიიღება.

დროებითი დაზგენილებანი.

1. ფოშტისა და ბაჟის შემოსავალი შემდექშიაც ისე განაწილდება, როგორადაც ეხლა, ვიდრე კონფედე-

რაცია არ იკისრებს იმ სამხედრო ხარჯს, რომელსაც ეხლა თემები იხდიან. გარდა ამისა ფედერაციის მართველობაში უნდა მოახერხოს, რომ ის ზარალი, რომელიც მიეცემათ ზოგიერთ თემებს თანახმად კონსტიტუციაში შეტანილი სტატუტების: 20, 30, 36 და 42, გადახდეთ მათ რამდენიმე წლის განმავლობაში და არა ერთბაშად. თემები, რომელნიც მე-20 სტატუტის და კანონებამდე არ შეასრულებენ სამხედრო მოვალეობას, განსაზღვრულს წინანდელი კონსტიტუციით და ფედერაციის კანონ-მდებლობით, ამ მოვალეობათა ასრულებას მოახდენენ თავიანთი საკუთარი ხარჯით.

2. ფედერაციის წინანდელი კანონები, კონკორდატები და თემების კანონმდებლობა, რამდენადაც ეწინა-აღმდეგებიან აწინდელ კონსტიტუციას, თვით ამ უკანასკნელის ფაქტიურად მიღებით, უარყოფილად ითვლებიან.

3. ახალი დადგენილებანი, რომელნიც ეხებიან ფედერაციის სასამართლოს ორგანიზაციას და კომპეტენციას, სავალდებულოდ ჩაითვლებიან, როდესაც მათდამი შესახები ფედერაციის კანონმდებლობა გამოცხადდება.

4. თემებს ეძლევათ ხუთის წლის ვადა სახალხო დასაწყისი სწავლის უფასოდ მოწყობისათვის.

5. თავისუფალ პროფესიის პირთ, რომელთ მოქმედება აწინდელი კანონმდებლობის სტ. 33 გამოცხა-დებამდე ნებადართულია იყო ან თემისაგან და ან ისეთი სამართველო დაწესებულებისაგან, რომელიც რამდენიმე თემის წარმომადგენლად ითვლებოდა, იგივე პროფესიით მოქმედება შეუძლიანთ მოელს კონფედერაციაში.

ჭედერაციის კანონი

შესახებ იმისა თუ როგორ ამტკიცებს ხალხი
საფედერაციო კანონებს და დადგენილებებს.

17 თბილი 1874 წ.

1. საფედერაციო კანონი წარედგენება ხალხს გარ-
დასაწყვეტად, როდესაც ამას მოითხოვს 30,000 მოქ-
ლაქე ან 8 თემი. ესევენაირად ხდება ფედერაციის სა-
ზოგადო ხასიათის დადგენილებათა გარდაწყვეტა, თუ չა
დადგენილებანი საშური არ არიან (სტ. 89 ფედ. კონსტ.)

2. განსაზღვრა იმისი, როდის არა აქვს საფედერა-
ციო დადგენილებას საზოგადო ხასიათი ან როდის არის
იგი საშური, კავშირის კრებულზეა დამოკიდებული და
უნდა ყოველთვის ფორმალურად გამოცხადდეს ხოლმე
თვით დადგენილებაში. ორივე შემთხვევაში კავშირის
სათათბირო მოვალეა უბრძანოს დადგენილების ასრულე-
ბა და დაბეჭდოს იგი კონფედერაციის კანონების ოფი-
ციალურ კრებულში.

3. საფედერაციო ყველა კანონები და დადგენი-
ლებანი, რომელნიც არც ერთ ზემო ხსენებულ (მუხ. 2)
განსაკუთრებულ შემთხვევას არ ეკუთვნიან, უნდა ჯერ
დამტკიცებულ იქმნენ და მერე დაიბეჭდოს და გაეგზავ-
ნოს თემებს, რამდენი ეკზეპლიარიც იქნება საჭირო.

4. მოქალაქეების ან თემების თხოვნა, საფედერაციო
კანონის ანუ დადგენილების ხალხის წინაშე წარდგენის
შესახებ, ამ კანონის ანუ დადგენილების ოფიციალურ

ორგანოში გამოცხადების შემდეგ, 90 დღის განმავლობაში უნდა იყოს წარმოდგენილი.

5. თხოვნა წარედგინება კავშირის სათათბიროს წერილობით. მოქალაქე, რომელიც ამ თხოვნის თანახმაა, ხელს პირადად აწერს. ვინც ხელს სხვის მაგიერ მოაწერს, სისხლის სამართლში მიეცემა. ხელის მომწერელის ხმის უფლება უნდა შემოწმებულ იქმნას იმ ადგილის სამართველო დაწესებულებისაგან, სადაც ხელის მომწერელი თავისი პოლიტიკური უფლებებით სარგებლობს, ამ შემოწმებაზე არავითარი ხარჯი არ გადაეხდევინება ხელის მომწერელს.

6. თემების თხოვნა ხალხის შეკითხვის შესახებ უნდა იყოს გამოცხადებული დიდი სათათბიროთი, თემის სათათბიროთი ან ლანდრატით. ამ წეს-რიგის შეცვლის უფლება კვლავაც თემის ხალხს ქონია თემის კონსტიტუციით მინიჭებული და ეხლაც ხელშეუხლებელი რჩება.

7. თუ საფედერაციო კანონის ანუ დადგენილების ოფიციალურ ორგანოში გამოცხადების შემდეგ, 90 დღის განმავლობაში განცხადება შეხალხის კითხვის შესახებ არავისაგან არ შემოვიდა, ან თუ განცხადება იგი იყო, მაგრამ ოფიციალური გამოძიებით და შემოწმებით აღმოჩნდა, რომ 30,000 მოქალაქეზე ან 8 თემზე ნაკლები თხოულობს ამ შეკითხვას, კავშირის სათათბირო გამოცხადებულ კანონს ანუ დადგენილებას მიღებულად სთვლის და უბრძანებს მის შესრულებას და კონფედერაციის კანონების კრებულში დაბეჭვდას. რამდენმა ოცაწერა ხელი თხოვნას ან რამდენი თემი თხოულობდა

ხალხის შეკითხვას, უნდა თემებისაგან და საზოგადოებრივისაგან (ინჟინერი) გამოცხადებული იყოს ფედერაციის ოფიციალურ ორგანოში. ესრეთივე წესით უნდა მოექცნენ თემების ოხოვნას, შემოტანილს თანახმად სტ. 6. გარდა ამისა, კავშირის სათათბირომ უნდა წარუდგინოს ხოლმე კავშირის კრებულს პირველსავე კრებაზე თავისი მოხსენება ამ საქმის შესახებ.

8. თუ ოფიციალური შემოწმებით დადგენილ იქმნება, რომ პეტიციაზე ხელის მომწერელთა რიცხვი კანონიერია, კავშირის სათათათბირო განახორციელებს ხალხის შეკითხვას: ატყობინებს თემების მართველობას და დაუყოვნებლივ აბეჭვდინებს კანონს ანუ დადგენილებას, რომლის შესახებ უნდა შეეკითხნენ ხალხს.

9. ხმის ჩამოტარება ხალხში, ანუ ხალხის შეკითხვა მთელს კონფედერაციაში ერთდაიგივე დღეს ხდება. ამ დღეს კავშირის სათათბირო ნიშნავს. ყოველ შემთხვევაში, გარდასაწყვეტი კანონის ანუ დადგენილების გამოცხადების შემდეგ, ხმის ჩამოტარება ოთხ კვირაზე ადრე არ შეიძლება მოხდეს.

10. ხმის უფლება აქვს ყოველ შვეიცარელს, როგორიც სრული ოცის წლისაა, და იმ თემის კანონმდებლობით, რომელშიაც ბინადრობს, სამოქალაქო უფლებები არა აქვს ჩამორთმეული.

11. ხმის ჩამოტარებას ხალხში ანუ ხალხის შეკითხვას. ყოველი თემი თავის ტერიტორიაზედ მოახდენს შესახები კანონმდებლობის თანახმად.

12. ყოველ საარჩევნო ოინოში ან საჭოგადოებაში შესდგება ოქმი, სადაც სწორედ უნდა იყოს ნაჩვენები: რამდენმა ხმამ ისურვა მიღება კანონისა ანუ დადგენილებისა, რომელიც უნდა გარდაწყვეტილიყო, და რამდენმა არა.

13. თემის მართველობა ათის დღის განმავლობაში გაუგზავნის კავშირის სათათბიროს საარჩევნო ოქმს და ბიულეტენს. კავშირის სათათბირო შეგროვილი ოქმები-დან დასკვნის ხალხის გარდაწყვეტილებას.

14. კნონი ანუ დადგენილება დამტკიცებულად ჩაითვლება მაშინ, როდესაც ნახევარზე მეტი მოქალაქენი, იმათში ვინც ხმას აძლევდა, მიღების სურვილს გამოაცხადებენ. ამ შემთხვევაში კავშირის სათათბირო კანონს ანუ დადგენილებას სავალდებულოდ სცნობს და აბეჭდინებს კონფედერაციის კანონების ოფიციალურ კრებულში.


15 თუ კანონი ანუ დადგენილება, რომელიც წარედგინა ხალხს დასამტკიცებლად, მოქალაქეთა უმრავლესობამ, იმათში ვინც ხმა მისცა, არ მიიღო, იგი უარყოფილად ითვლება და არ განხორციელდება.

16. ორივე შემთხვევაში ხმის ჩამოტარების შედეგი საჯაროდ უნდა გამოცხადდეს და კავშირის სათათბირომ მოახსენოს კავშირის კრებულს პირველსავე კრებაზე.

შეცდომის შესრულება

გვერდი	სტრიქნია	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
1	მე- 8	რბენისაგან	ფრენისაგან
"	" 15	ძრიელია	ძლიერია
4	" 29	შეეტკულა	შეეტკულა
9	" 1	დაშორა	დაშორა
15	" 15	რჯულებე	რჯულზე
20	" 23	Cogito-	Cogito
25	" 4	უკუგდებული	უკუგდებული
26	შენიშვნაში	აიფიქროთ	ვიფიქროთ
31	" 2	დემოკრატულმა	დემოკრიტიულმა
34	" 4	კონსტიტუციონი	კონსტიტუციონურ
"	" 23	პრინციპს	პრინციპს
35	" 26	სახლმწიფოს	სახელმწიფოს
40	" 21	1830—1848 წ.	(1830—1848 წ.)
43	" 15	წეს-წყობისა	წეს-წყობილებისა
46	" 24	სსებულ	სსენებულ
48	" 3	მართელობას	მართველობას
"	" 27	სხვა და სხვა გვარ	სხვა და სხვა გვარი
50	" 18	ცხოვეულების	ცხოვრების
53	" 15	კონცესიებია	კონცესიებია
57	" 2	ბინაღრობა	ბინაღრობის
"	" 4	რა დაგილსაც წინად	სადაც წინად
64	" 13	კავშირის კრებულ	კავშირის კრებული





УДАР

М. Д. С.